პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.
წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში — 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 290 კვირა, 16 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 290

დღიური

მექსიკის აჯანყების ბედი გამოურკვეველია: ერთი ცნობით აჯანყებულებმა გაიმარჯვეს, ხოლო მეორე ცნობით დამარცხდნენ.

ისპანიაში აღმოაჩინეს ნავთის წყაროები.

პარიზში ჩავიდა ამხ. ვოროვსკის მკვლელი კონრადი.

ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარტია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას მთავრობაში.

1923, წლის 25 დეკემბერს
საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის თეატრში დანიშნულია

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების

მე-4-ე მოწვევის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ამომრჩევ კომისიისა.
2) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
3) მოხსენება მე 3-ე მოწვევის საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.
4) აღმასკომის არჩევნები.

781—3—1 ცენტრალური ამომრჩევი კომისია.

სამემოსავლო გადასახადი

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტი“-ს 236 და 237 ნომრებში, დამტკიცებულია დებულება ამიერკავკასიის ფარგლებში სახელმწიფო-სამემოსავლო გადასახადის შესახებ.

ამ დებულების თანახმად ყოველი მოქალაქე, რომელსაც პირველი იანვრიდან 30 სექტემბრამდე ჰქონდა შემოსავალი არა ნაკლებ 450 ჩერვონეცის მანეთისა, იხდის ყოველგვარ შემოსავლის რაოდენობის მიხედვით სახელმწიფო-საშემოსავლო გადასახადს. ამნაირად გადასახადის სიმძიმე აწვება უმთავრესად შეძლებულ კლასებს და პირებს, რომელთაც მეტი საშუალებები და შემოსავლის წყაროები მოეპოვებათ. ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, ის მეტსაც იხდის და ვისაც ნაკლები, ის ცოტას და ან სულ არაფერს იხდის.

ამნაირად სახელმწიფო-საშემოსავლო გადასახადი ყველა გადასახადებზე უფრო სამართლიან პრინციპზეა დამყარებული. მას საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი შეგნებული მოქალაქე სრული თანაგრძნობით უნდა შეხვდეს, ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მის ცხოვრებაში გატარებას. ამ შეგნებაზე და საგადასახადო კომისიებისთვის სწორი ცნობების მიწოდებაზე დიდად დამოკიდებულია გადასახადის წარმატებით აკრეფა.

უკვე გავიდა ვადა, როდესაც სახლის მეპატრონეებს, ანდა გამგეებს თუ მოიჯარადრეებს უნდა წარედგინათ ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც მათ სახლებში სცხოვრობენ და საკუთარი, დამოუკიდებელი შემოსავალი მოეპოვებათ. ასეთივე ხასიათის ცნობების წარდგენა ევალებოდათ დაწესებულებებს მათში მოსამსახურე პირთა შემოსავლის აღნიშვნით. 15 დეკემბრისთვის კი ყოველ მოქალაქეს უნდა წარედგინა დეკლარაციული ცნობები თავის შემოსავლის შესახებ. გარკვევა ყველა იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო-საშემოსავლო გადასახადის გატარებასთან, ძნელია. ამ საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ გადასახადი შემოღებულია ჩერვონცებით, ხოლო მუშა-მოსამსახურეები დღემდე ჯამაგირს საქონლის მანეთით იღებდნენ, დაწესებულებაში ჩერვონეცით ანგარიშის წარმოებაც შედარებით ახალი ამბავია.

ამას გარდა თუმცა კანონში გარკვევით აღნიშნულია, თუ ვინ უნდა გაიღოს გადასახადი და მე-11 მუხლში მოყვანილია ცხრილი გადასახადის შენაწერის შესახებ, რაც მიერიცხება თვითეულ გადამხდელს მისი შეერთებული შემოსავლის კვალობაზე, მიუხედავათ ამისა მრავალ მოქალაქეს მაინც გაუჭირდება მასში გარკვევა და აუცილებლად საჭიროა გადამხდელთათვის ვრცელი რჩევა-დარიგებების, ახსნა განმარტების მიცემა. ცნობების მიუწოდებლობა, ან არასწორი ცნობების წარდგენა კი იწვევს საკმაო დიდ ჯარიმას 20—40 ჩერვონეცის მანეთამდე.

გადასახადის განაკვეთების განსაზღვრა დამყარებულია უმთავრესად თვით გადამხდელთა მიერ მიწოდებულ ცნობებზე, მაგრამ სათანადო საგადასახადო კომისიებს უფლება აქვთ არ დაემყარონ მარტო გადამხდელთა განცხადებებს, თუ საჭიროთ დაინახავენ შეუძლიათ გამოსძებნონ უფრო სარწმუნო ცნობები გადამხდელის საერთო შემოსავლის გამოსაკვლევად. გადასახადს იხდის ოჯახის თვითეული წევრი, რომელიც იღებს დაწესებულ მინიმუმის ზევით, შემოსავალს ნატურით ან ფულით. გადასახადისგან თავისუფლდება სოფლის მეურნეობის შემოსავალი იმ შემთხვევაში, თუ ეს შემოსავალი დაბეგრულია სასოფლო სამეურნეო გადასახადით.

გადასახადისგან თავისუფლდება აგრეთვე ის ნაწილი შემოსავლისა, რომელიც გაღებული იქნება როგორც სავალდებულო გადასახადი წარმოება-მოსაქმეობასთან დაკავშირებით, აგრეთვე პროფკავშირის წევრობის გადასახადი, შეწირულებანი საგანმანათლებლო მიზნით და სხვა.

დეკრეტში ვრცლად არის განმარტებული გადასახადის გაღების წესები, საჭიროა მათში გარკვევა და სისწორით პასუხის მიცემა ყველა იმ კითხვებზე, რომლებსაც იძლევა საგადასახადო კომისიები. ეს დამოკიდებულია მოქალაქეთა კულტურობაზე და გადასახადისადმი შეგნებულ დამოკიდებულებაზე. ყველა, ვინც მოინდომებს თავის შემოსავლის წყაროების და რაოდენობის დამალვას, ბოროტმოქმედებას ჩაიდენს მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე.

ყოველი მოქალაქე უნდა შეეცადოს ამ ყველა გადასახადებზე უფრო სამართლიან გადასახადის სავსებით აკრეფას და მით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ფინანსიურ-ეკონომიურ გაძლიერებას. გადასახადების აკრეფა ხელს შეუწყობს ემისიის შემცირებას და ფულის კურსის განმტკიცებას. ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი ერთგული მოქალაქე უნდა გაიმსჭვალოს ეგრეთ წოდებულ საგადასახადო დისციპლინით, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით მიღებულ ყველა ღონისძიებებს.

მიწის კოდექსის ირგვლივ*)

ერთის დიდ შესანიშნავ აქტად, რომელსაც მთელი რესპუბლიკის გლეხობა მოელოდა, რომელსაც მოელოდა აგრეთვე ყველა პატიოსანი მიწის მშრომელი, უნდა ჩაითვალოს მიწის კოდექსის გამოქვეყნება. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით და გვახსოვს ის აურზაური, რომელიც თან სდევდა ზოგიერთ ვაჟბატონის მეოხებით ჩვენი მთავრობის ყოველ განკარგულებას მიწის სარგებლობის ირგვლივ, გვახსოვს მათი პროვოკაციული სიხი.

რევოლიუციონურმა რეფორმამ ცულით და ნაჯახით იმუშავა. კოდექსი გააშალაშინებს და გაასუფთავებს უკანასკნელის ნამუშევარს. ბოლოს და ბოლოს კოდექსი გაუცრუებს იმედებს იმათ, ვისაც კიდევ ჰგონიათ, რომ ჩაიგდებენ ხელში ძველ სამფლობელოს. გლეხებს და მიწის მუშებს კი გაახარებს და დაარწმუნებს მათ, რომ ამიერიდან და სამუდამოთ მიწა მათ ხელში იქნება და ვერავინ ვერ შესძლებს მათ წართმევას.

ჩვენ სულით და გულით უნდა მივესალმოთ ამ კოდექსის დაკანონებას და ცხოვრებაში გატარებას. მით უმეტეს, რომ მანამ იგი დაკანონებულ იქნება, ფართე მასსას ეძლევა საშუალება იმსჯელოს და გამოთქვას თავისი აზრი.

მეც, როგორც ყოფილ მუშაკს ამ დარგში, არ შემიძლიან არ გამოვეხმაურო ამ პროექტს და შევიტანო ჩემი წვლილი მის განხილვაში.

უპირველესად ყოვლისა, კოდექსი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იყოს დაწერილი მდაბიო და გლეხებისათვის გასაგებ ენაზე; კოდექსის სიტყვათა და აზრთა ხრუნვაში არ უნდა იქმნეს დარჩენილი არც ერთი „საძრომი“ (лазейка), რათა ამა „საძრომით“ არ მიეცეთ უფლება უპასუხისმგებლო პირებს ყვლეფონ გლეხობა. ასეთი მაგალითები იყო აქნობამდე გამოქვეყნებულ ინსტრუქციებში მიწის შესახებ და, უნდა ითქვას სიმართლე, რომ ბევრი მშრომელი გლეხი წამოეგებია მათ ანკესზე. მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებანიც ბევრჯერ ჩავარდნილან უხერხულ მდგომარეობაში და სანამ სინამდვილე გამოირკვეოდა „პავლეს ტყავი სძვრებოდა“. მაშასადამე უმთავრესი, რაც საჭიროა—ეს კოდექსის მარტივი და მდაბიო ენით აწერა და ყველა „საძრომების“ მოსპობა შიგ.

ახლა გადავიდეთ განხილვაზე კოდექსის იმ მუხლებისა, რომელნიც მოითხოვენ, ჩემის აზრით, აუცილებელ შესწორებას:

მაგალითად, პირველი ნაწილის, პირველი კარის **მე-9 მუხლში** ნათქვამია: „უფლება მიწით სარგებლობისა აქვს საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს“; საჭიროა იყოს: .. ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც 1921 წლამდე უწარმოებია მიწის მუშაობა საკუთარის შრომით!

თუ რათ არის საჭირო კოდექსში ასეთი ცვლილების შეტანა, გასაგებია; 1921 წლამდის ბევრი იყო სოფლად დაბუდებული პარაზიტი და ექსპლოატატორი, რომელნიც ცხოვრობდნენ მხოლოდ იმით, რომ ეწეოდნენ მიწის მუშაკთა ექსპლოატაციას.

მხოლოდ 1921 წლიდან ჩვენ დავაწყებინეთ ამ ვაჟბატონებს მიწაზე მუშაობა საკუთარის შრომით, მაგრამ, გაიგო რა გლეხობამ საბჭოთა ხელისუფლების სულისკვეთება, დაარწმუნდა რა უკანასკნელის სიმტკიცეში, ზიზღით დაუწყო ცქერა თავიანთ სისხლის მსმელებს და იწყო მათი დევნა სოფლებიდან.

მართალია ფეოდალიზმის ნაშთები სრულიად გაჰქრნენ ჩვენი სოფლებიდან, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერავის ვერ მივუმართავთ ხელს არა მიწის მუშაკთათვის მიწის დაბრუნების საკითხში, ვინაიდან განვიცდით დიდ მიწის სივიწროვეს და შევეცდებით პირველ რიგში დავაკმაყოფილოთ მიწის მუშაობაზე მოცდილი და დაბეჩავებული გლეხობა, რომელთაც მამა-პაპიდან სხვა არავითარი ხელობა არ იციან!

მუხლი 19 „...მიწის მოსარგებლეს ერთი ნორმის ფარგლებში შეუძლია ჰქონდეს მიწა სხვადასხვა სოფელში, თუ კი ყველა მიწებს თავისი, ან თავისი ოჯახის წევრთა შრომით ამუშავებს“; საჭიროა იყოს: „...შეუძლია ჰქონდეს მიწა **მხოლოდ ერთ სოფელში**, სადაც თვითონ, ან მისი ოჯახი სცხოვრობს“.

სხვადასხვა ადგილას (სოფელში) მიწის ქონება, ჯერ უპირველესად ყოვლისა, გამოიწვევს რეგისტრაციის სიძნელეს, მეორედ—დაასუსტებს თემის აღმასკომის კონტროლს მის მიწებზე და მესამედ კი გამოიწვევს, აუცილებელს ამ შემთხვევაში, გლეხთა უკმაყოფილებას. საქმე იმაშია, რომ როდესაც ტარდებოდა რევოლუციონური მიწის რეფორმა, ასეთი შემთხვევები, როდესაც ერთ რომელიმე პირს, რამოდენიმე ალაგს (სოფელში) ჰქონდა მიწები—ძირიან ფესვიანად იქმნა აღმოფხვრილი თვით გლეხთა კომიტეტების მიერ. ბოლოს და ბოლოს მოხდა ისე, რომ მიწით ღარიბ სოფლებს ჩამოეჭრა მიწა მიწით მდიდარ სოფლებიდან ერთ ფარდში. თავის თავად ცხადია, რომ კოდექსის ეს მუხლი თუ დარჩა უცვლელად, ახმაურებს „კულაკებს“ და ბობოლებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში, ჰქონდათ შესყიდული საუკეთესო მიწები აქა-იქა სოფლებში.

მუხლი 21 ... „უფლება აქვს გამოიყენოს და ისარგებლოს მიწით იმ წესით, რომელსაც თვითონ დაინახავს საჭიროდ“... ვცნობ საჭიროდ იყოს ასე:

... „უფლება აქვს გამოიყენოს და ისარგებლოს მიწით იმ წესით, რომელიც საჭირო იქნება სასოფლო მეურნეობის კულტურის გაღრმავებისათვის“!

ეს ცვლილება აუცილებლად უნდა იქმნეს შეტანილი კოდექსში!

თუ მიწა შეადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას და წარმოადგენს, მე ვგონებ, უდიდეს სიმდიდრეს, უნდა შევაგნებინოთ, ვინც არ უნდა იყვეს იგი და რათაც არ უნდა დაჯდეს, რომ ნაგვიანი და გაუწმენდავი ხორბლის თესვა მიწაში, ან მიწის მოცდენა ან ბაღ ვენახების გაპარტახება გატიალება, მათი მინდვრათ გადაქცევა და სხვა ამგვარი მოვლენანი **დღეის შემდეგ დაუშვებელია**.

„თავისი თავის მტერი არავინ არ არის“-ო იტყვიან, მაგრამ მე არ ვამბობ, რომ გლეხობას ეს მეტის შეგნებით და განვითარებით მოსდის; მე არ ვიტყვი, რომ ის ამას განზრახ სჩადის. არა. ეს არის ნაყოფი, უმეტეს შემთხვევაში, **დაუდევრობის და კონსერვატიზმის**. რატომ არ გვინდა შევეცადოთ ჩვენი გლეხობის გამოსწორებას და გამოფხიზლებას? ნუ თუ ეს ჯერ კიდევ ადრეა? როდესაც კოდექსში ასეთი ცვლილება იქნება შეტანილი და დაკანონდება იგი, და როდესაც მისი გაცნობა ფართე გლეხთა მასსა, უკანასკნელი პატივისცემით მოეპყრობა განსაკუთრებით ამ მუხლს და შეეცდება შეძლებისდაგვარათ მის სისრულეში მოყვანას.

მუხლი 67: „დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა... და გ) აგრონომებს... როცა მათ კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი სასოფლო მეურნეობასთან“. საჭიროა იყოს: „როცა მათ კავშირი და **ზრუნვა** არა აქვთ გაწყვეტილი **თავიანთ** სასოფლო მეურნეობასთან. საკმარისი არ არის მარტო კავშირის არგაწყვეტა. თვით სიტყვა „კავშირი“ იმდენად მოქნილია და მრავალაზროვანი, რომ შეიძლება ნახმარები იყოს როგორც ერთ-ერთი საუკეთესო „საძრომთაგანი“ საჭიროა და აუცილებელი „კავშირს“ მიემატოს „ზრუნვაც“. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი აგრონომი (რომელიც კი მუშაობს თავის დარგში), რომ სასოფლო-მეურნეობასთან კავშირი ჰქონდეს გაწყვეტილი; ამისათვის საჭიროა ჩაემატოს სიტყვა „თავიანთ“, ვინაიდან ასეთი ჩამოყალიბება მე-67 მუხლისა მარტივი, გასაგები და რაც ყველაზე უმთავრესია—„უსაძრომო“ იქნება.

მუხლი 80: ...ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმაზე თუ არა, უნდა დაეტოვოს სამოსახლო ადგილი... საჭიროა იყოს ასე: ვისაც სოფლად ჰქონდა ან და აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმაზე თუ არა, **დაეტოვება სამოსახლო ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოისურვებს თვით სოფელი!** რევოლიუციონურმა რეფორმამ რკინის ცოცხით გამოხვეტა ყველა პარაზიტები, ექსპლოატატორები და მუქთახორები ჩვენი სოფლებიდან. ამ რევოლიუციონურ რეფორმაში გამოიხატა და გამოხეთქა გლეხთა შეუდრეკელმა ნებისყოფამ... უკანასკნელმა არ მოისურვა, რომ გვერდში ჰყოლოდა ის პირნი, რომელთა თავწასულმა თარეშმა სიდუხჭირეში და ტანჯვა-წამებაში დაალევინა სული მათ მამა-პაპებს, გაუმწარა და ჩაუშხამა მათ მყუდრო ცხოვრება. ეს იყო მეტად ფაქიზი და წმინდა აქტი. ეს იყო მასსიური სურვილი მთელი დაჩაგრული გლეხობის. ამით **გაწმინდა** ჩვენი სოფლები ყველა არა შრომელ და არა სასურველ პირთაგან. მე 80 მუხლში კი ეს, გლეხთა ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი საკითხი, თითქმის გაუშუქებელი რჩება. სწორედ ის პირნი, რომელნიც გამოდევნილ იყვნენ სოფლებიდან, შეეცდებიან ისარგებლონ ამ მუხლით. შეეცდებიან შეიყვანონ შეცდომაში ან სამაზრო ან თემის ხელისუფლებანი. უნდა ითქვას, რომ გლეხები კარგათ ერკვეოდნენ რევოლიუციონურ მიწის კანონებში და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ დაეჩაგრათ ვინმე **მარტო წოდებისათვის**. არა, ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია და ყველა ის თავად-აზნაური, რომელიც კი ეწეოდა მუშაობას საკუთარის შრომით იქმნენ დატოვებულნი თავიანთ სამფლობელოში ჩვენი ნორმის ფარგლებში.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მე 80 მუხლში იქმნეს შეტანილი ჩემს მიერ წარმოდგენილი ცვლილება. ამით ჩვენ არ დავარღვევთ გლეხთა რევოლიუციონურ ნებისყოფას და არ შევიტანთ ძლივს მოგვარებულს საქმეში არევ-დარევას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კოდექსის პროექტი არის შედგენილი, ცოტაოდენი გამონაკლისით, ძალიან წინდახედულათ. მასში არის გათვალისწინებული თითქმის ყველა ისეთი მდგომარეობანი და მოვლენები, რომლებზედაც ჩვენ ბევრჯერ გვჭირდებოდა პასუხის გაცემა, როგორიც არის მაგალითად: კომლი, კომლის გაყოფა, მიწის სარგებლობის ფორმები და სხვა.

კოდექსში მეტად მოსაწონია და შინაარსიანი მუხლები მე 24 და 12. **მუხლი მე 12** დაიცავს ჩვენს ისედაც განადგურებულ ტყეის განადგურებისაგან; აქამდის ხშირ მოვლენად ითვლებოდა, რომ ცულით ან ცეცხლით გაენადგურებინათ ტყე ვინც და სადაც მოისურვებდა. ტყის მცველი მუდამ ვერ ადევნებს თვალს ტყის ერთ კუთხეს, და სანამ ის უკან დაბრუნდებოდა დასაზვერავად, გუშინდელი ხშირი ტყის მაგიერ ხვდებოდა ირგვლივ დახრილი და ნახევრად გამხმარი ხეები. ასე, თანდათანობით ტყე ისპობოდა რომელიმე ალაგას და ბოლოს სრულიად მოტიტვლებულს ალაგს იღებდა სახნავად რომელიმე პირი (უეჭველად ბოროტ-მოქმედი). ახლა კი, კოდექსის თანახმად, მიწათმოქმედი თვით ამოურჩევს მსურველთ სახნავ ადგილებს, და ბოროტგამზრახველებს მოესპობათ სურვილი თვითნებობის.

მუხლი მე-24 კი სწყვეტს მეტად საჭირბოროტო საკითხს; დავა მიწებზე ვერავითარი კოდექსით ვერ მოისპობა; სამაზრო განყოფილებები ჩარჩობილნი იყვნენ მიწის ირგვლივ ატეხილ დავების გარჩევა-მოგვარებაში. ჩვენ ვერ ვასწრობდით მათ დროზე განხილვას და ატეხილი დავა, ზოგჯერ ძალიან ვადიანი და სასწრაფო, რამოდენიმე თვეობით იდო კანცელარიაში უძრავად და უცვლელად. კოდექსი აწესებს, რათა სახალხო სასამართლომ ერთი თვის განმავლობაში აღადგინოს ფაქტიური მფლობელის უფლებები. ფაქტიური მფლობელთა უფლებაში აღდგენა შეასუსტებს ტყუილა და უსაბუთო მომჩივანთა მტაცებლურ მადას და დააყენებს და დაამშვიდებს ბევრ ტვინგახურებულ და ბედ-იღბალზე მოთამაშე პირების სურვილს.

ასე სჭრის აგრარულ საკითხს მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

დეე დარწმუნდნენ ის საზღვარ-გარეთელი და აქაური ურწმუნონი და ცრუმორწმუნენი, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ და შეურყევლად სდგას მუშათა და გლეხთა სადარაჯოზე, რომ იგი სრული და ჭეშმარიტი გამომხატველია მშრომელთა და პროლეტარიატის ინტერესების; რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია იზრუნოს პროლეტარიატისათვის და თავისი მტკიცე სიტყვა არ დააშოროს საქმეს.

მომავალი სრულიად საქ. საბჭოთა ყრილობა გადასინჯავს ამ პროექტს და დაამტკიცებს.. და ყოველთვის, ასე შეურყევლად, მედგრად და თანდათანობით განახორციელებს პროლეტარიატი თავის იდეალებს და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრის და მოსპობს ყველა იმას, რაც კი გადაეღობება მის ძლევამოსილ წინსვლას.

ბ. მეხრიშვილი.

---

*) დისკუსიის წესით. რ ე დ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გაღატაკებულ გერმანიის ბედი

მთავრობამ უარი განაცხადა მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის მიცემაზე

ფინანსიური გაკოტრების წინ: გაზეთები დიდ საშიშროებას გამოსთქვამენ ქვეყნის ფინანსიური კატასტროფის შესახებ: ოქროს მარაგი დახარჯულია, ხაზინა ცარიელია.

მთავრობის წინააღმდეგ: პრუსიის ლანდტაგში კომფრაქციამ გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ და აღნიშნა ის საშინელი ზომები, რომელსაც მიმართავს მთავრობა მუშებთან ბრძოლის დროს.

დაპყრობილ ოლქებში: მრეწველებს შემოაქვთ მუშებისათვის 59 სამუშაო საათი კვირაში.

ფინანსიურ კატასტროფის წინ

ერთა ლიგა ვერ უშველის.

ბერლინი. 14 დეკემბერი. ბერლინის გაზეთები მთლიან საგადასახადო სისტემის სრულიად შეცვლას და უცხო სახელმწიფოებისა და ერთა ლიგასადმი მიმართვას გერმანიისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის თხოვნით. ამ დრომდე კი ყველა ხარჯები შემცირებულ იქნებიან.

პარიზი. 14 დეკემბერი. მარქსის მიერ პრესის წარმომადგენლებისათვის გაკეთებულ განცხადების გამო, გერმანიის მთავრობის მიერ დიპლომატიურ ნაბიჯების გადადგმის შესახებ, საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ მოკავშირეები თანაგრძნობით შეხვდებიან ამ ნაბიჯებს. როგორც „ჟურნალი დე-დება“ აღნიშნავს შეთანხმება მიკუმსა და გერმანელ მრეწველებსა საფრანგეთ-ბელგიის სამმართველოს, გერმანიის რკინისგზების ადმინისტრაციის შორის მოითხოვს გერმანიის და საფრანგეთის მთავრობების უშუალო მოლაპარაკებას.

ფინანსიური მდგომარეობა.

ბერლინი. 14 დეკემბერი. გერმანიის პრესა ხაზგა მშფოთარე წერილებით ქვეყნის უიმედო ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. მთავრობამ გაატარა მთელი რიგი დრაკონულ ფინანსიურ ღონისძიებათა: შეწყვეტილია სუბსიდიების გაცემა ადგილობრივ თვითმმართველობებისათვის კულტურულ საგანმანათლებლო საჭიროებებზე. შეწყვეტილია რკ.-გზებისა და ფოსტისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, შემცირებულია 50 პრ. უმუშევართათვის სუბსიდიების გაცემა, მოსალოდნელია სახელმწიფო მოსამსახურეთა შტატის შემცირება, მასწავლებელთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ხელფასის შემცირება. **სახელმწიფო ხაზინა მაინც ცარიელია, ვინაიდან გადასახადებით იფარება მხოლოდ მთელი ხარჯების ცხრა-მეათედი.**

მთავრობის „მტკიცე ნაბიჯი“

ცილისწამება.

ბერლინი. 14 დეკემ. გასული წლის ივლისში გაზეთი „ჰამბურგერ ნახრისტენ“-ი იტყობინებოდა, რომ მოსკოვის საკონტროლო კომისიამ, თითოს, აღმოაჩინა ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობაში „პანამა“. სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ პასუხისგებაში მიცემულ გაზეთების წარმომადგენლებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ მათ [illegible] აქვთ საბუთი გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობებისათვის სასამართლომ გაზეთების წარმომადგენლებს მიუსაჯა ჯარიმა 200 ოქროს მარკის რაოდენობით.

მოსამსახურეების ჯამაგირის დარიგება.

ბერლინი. 14 დეკემ. მთავრობამ გამოაქვეყნა განკარგულება, რომლითაც სახელმწიფო მოსამსახურეებს, საშუალებების უქონლობის გამო, დაურიგდებათ მხოლოდ თვიურ ჯამაგირის ნახევარი. მეორე ნახევარი დარიგდება დაგვიანებით.

მოლაპარაკება საფრანგეთთან.

ბერლინი. 14 დეკ. გერმანიის მთავრობამ დაადგინა მიმართოს საფრანგეთის მთავრობას წინადადებით დაიწყოს უშუალო მოლაპარაკება რეინის და რურის ოლქების საკითხების გარშემო.

გერმანიის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას დიდ წარმატებად სთვლიან მარქსის მთავრობის საგარეო პოლიტიკაში.

შტრეზემანის გაზეთი „ცეიტი“ ამტკიცებს, რომ გერმანიის დიპლომატია გადავიდა შეტევაზე, იმყარება რა იგი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ინგლისის და ამერიკის მხრივ მხარის დაჭერაზე. გაზეთი ხაზს უსვამს დიუსელდორფის შეთანხმების დროებით ხასიათს და გამოსთქვამს იმედს, რომ 15 აპრილის შემდეგ შეთანხმება არ იქნება განახლებული, ვინაიდან რურის ყველა წარმოებები ამუშავდებიან და შეთანხმების მიზანიც მიღწეული იქნება.

ნაციონალისტების ორგანო „კრეიც ცეიტუნგი“ არ იზიარებს მთავრობის წრეების ოპტიმიზმს და აცხადებს, რომ თუმცა ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ არ არის საჭირო მისი ზედმეტად გადაჭარბება.

მთავრობის წინააღმდეგ

პრუსიის ლანდტაგში.

ბერლინი. 14 დეკ. პრუსიის ლანდტაგში ნაციონალისტებმა სასტიკად გაილაშქრეს ზევერინგის წინააღმდეგ, და ბრალს სდებენ მას მემარჯვენე მოხელეების დათხოვნაში, ჩხრეკის მოხდენაში და საიდუმლო კავშირების დარბევაში.

კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა 15 შეკითხვა და 8 წინადადება პარტიის აკრძალვის, „როტე ფანეს“ დახურვის საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობის და საიდუმლო კავშირების მოქმედების გამო. კომუნისტმა დეპუტატმა კაცმა აღნიშნა რეაქციის უსაზღვრო თავხედობა, განაცხადა, რომ სამოქალაქო ომი უკვე დაიწყო და რომ პარტიის აკრძალვა და განსაკუთრებული მდგომარეობა მოწმობს კაპიტალიზმის დაშლას. მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია გერმანიის პროლეტარიატის გადარჩენა.

კომუნისტი დეპუტატი მენცელი მოითხოვდა ჩხრეკის და კონფისკაციების შეწყვეტას: მან აღნიშნა, რომ ზევერინგის ხელქვეით მყოფი პოლიცია სდევნის მუშათა კრებებს და ძალადობას ხმარობს დაპატიმრებულთა მიმართ. მან განაცხადა პროტესტი ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამეფებულ რეჟიმის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ სოციალ-დემოკრატია ფარავს სამხედრო დიქტატურის მოქმედებებს. ორატორის სიტყვით, მხოლოდ კომუნიზმი იხსნის გერმანიას. კომპარტია იზრდება მიუხედავად ებერტის, სეკტის და ზევერინგის დევნისა.

მთავრობის ოთურმა

მთავრობის კრიზისი საქსონიაში.

ბერლინი. 14 დეკემბერი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიული ფელიშის მთავრობა გადადგა დემოკრატების მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის ლიპმანის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიის გამო.

სამუშაო დღე.

პარიზი 14 დეკემბერი. „იუმანიტე“ სასტიკ პროტესტს აცხადებს გერმანიაში 10 საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მუშებზე გამარჯვებისათვის სტინესი საფრანგეთის იმპერიალიზმს უნდა უმადლოდეს.

მთავრობის კრიზისი ბავარიაში.

ბერლინი, 14 დეკემბერი. მთავრობის კრიზისი ბავარიაში დამთავრებულია. ფინანსთა მინისტრმა კრაუსნიგმა, მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭების კანონის მიღების შემდეგ, უკან წაიღო თავისი განცხადება გადადგომის შესახებ.

დაპყრობილ ოლქებში

უმუშევრობა.

ბერლინი. 14 დეკემბერი. ბოხუმში 10.000 უმუშევარი გაემგზავრა წარმოებებისაკენ მათთვის სამუშაოს მიცემის მოთხოვნით. წარმოებების კარები დაკეტილი აღმოჩნდა. მახლობელ ქუჩებში მოგროვილი იყვნენ საფრანგეთის ჯარები. წარმოების კედლებზე გაკრული იყო განცხადებები, რომლებშიაც აფრთხილებდნენ მუშებს, რომ წარმოებაში შემსვლელი გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას.

სამუშაო კვირა

პარიზი. 14 დეკემბ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ რურის მრეწველებმა და შრომის მინისტრმა დაადგინეს დააწესონ 59 საათის სამუშაო კვირა, მძიმე შრომისთვის კი 54 საათის კვირა. იმ წარმოებებში, სადაც წინეთ 10 საათის სამუშაო დღე იყო, სამუშაო დრო არ შეიცვლება.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ამერიკის დახმარება გერმანიის დამშეულებს.

ბერლინი. 14 დეკ. გენერალმა ალენმა, ებერტის თხოვნაზე უმუშევრების დამშეულ ბავშვებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, განაცხადა, რომ მზად არის ამ მიზნით მოაწყოს ამერიკაში ხელისმოწერა 10 მილ. დოლარზე. როგორც ალენმა განაცხადა, კვაკერებმა უკვე გაგზავნეს ჰამბურგში სურსათი რამოდენიმე დოლარის ღირებულებით.

კრონპრინცი პირობას იძლევა, რომ „წყნარად“ იქნება.

ბერლინი. 14 დეკ. გერმანიის მთავრობისათვის მიცემული პირობის შესასრულებლათ, კრონპრინცი უარს ამბობს თავის მამულში რაიმე დეპუტაციის მიღებაზე.

ინგლისის არჩევნების შემდეგ

მუშათა პარტიის უახლოესი ნაბიჯები.

ლონდონი. 14 დეკემბერი. მუშათა პარტიის აღმასკომმა წინადადება მისცა პარტიის მდივანს ჰენდერსონს და ყველა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს მიიღონ დაუყოვნებლივი ზომები ახალი საარჩევნო კამპანიის მოწყობისათვის; ამ კამპანიამ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს მუშათა პარტიის ისტორიაში.

მეორე რეზოლიუციაში აღმასკომი აღნიშნავს, რომ **მუშათა პარტიამ, თუ ამას მოითხოვს მდგომარეობა, უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ახალი მთავრობის შედგენისათვის; მუშათა პარტია არ უნდა შევიდეს კოალიციაში ბურჟუაზიულ პარტიებთან.**

ახალი კაბინეტის შედგენის გარშემო.

ლონდონი. 14 დეკემბერი. „დეილი ჰერალდი“-ი სწერს: **„ინტრიგური ბოროტმოქმედება იქნებოდა ნება მიგვეცა ლიბერალებისათვის მონაწილეობა მიეღოთ მთავრობის შედგენაში.** ლიბერალები გვაიძულებენ ჩვენ ხმა მივსცეთ ისეთ ღონისძიებებს, რომელნიც ჩვენ ვერასოდეს ვერ დაგვაკმაყოფილებენ“. **გაზეთი აღნიშნავს, რომ მაკდონალდმა უნდა შეადგინოს კაბინეტი და მან უნდა დაიჭიროს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა.** ხმების მიხედვით, ტრედიუნიონები გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ასახელებენ რამოდენიმე თავის კანდიდატს, რომელნიც არ სარგებლობენ პოლიტიკური წრეების ნდობით.

ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტი“-ი სწერს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მუშათა პარტიის მთავრობა ანგარიშს გაუწევს ამომრჩეველთა უმრავლესობის სურვილს, მაშინ მას შეუძლია იმედი ჰქონდეს ლიბერალების დახმარების. **თუ მუშათა პარტიის მთავრობა ბოროტათ გამოიყენებს თავის ძალაუფლებას, მაშინ ის თვითონვე გათხრის თავისთვის საფლავს.**

„დეილი ნიუზ“-ი, რომელიც გამოხატავს ლიბერალურ პარტიის ოფიციალურ პოზიციას, აღნიშნავს, რომ ლიბერალებში გაუგებრობას იწვევს მუშათა პარტიის განცხადება იმის შესახებ, რომ ის მზათ არის იკისროს ახალი კაბინეტის შედგენა სხვა პარტიებთან შეუთანხმებლათ.

მუშათა პარტიაში.

ლონდონი 14 დეკემბერი. მუშათა პარტიის აღმასკომის პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ულოცავს პარტიის კანდიდატების გამარჯვებას არჩევნებში და თანაგრძნობას უცხადებს არჩევნებში დამარცხებულ კანდიდატებს. რეზოლიუცია მადლობას უცხადებს პარტიის მდივანს ჰენდერსონს მის მიერ გაწეულ ორგანიზაციულ მუშაობისათვის არჩევნების დროს; **რეზოლიუცია მადლობას უცხადებს აგრეთვე ყველა იმ მუშათა ორგანიზაციებს, რომლებმაც ფინანსიური დახმარება აღმოუჩინეს პარტიას, კერძოთ რკინისგზელების კავშირს, რომელმაც საარჩევნო მიზნებისათვის გაიღო 10,000 გირ. სტერლინგი.** რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა არჩევნების შემდეგ, შესაძლებელია გახდეს სულ ახლო მომავალში ახალი საყოველთაო არჩევნების მიზეზი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისი

სავაჭრო შეთანხმებისათვის.

ლონდონი. 14 დეკემბერი „დეილი ნიუზ“-ი სწერს: „ზოგიერთი ევროპიული სახელმწიფოები მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ; ამ მოლაპარაკებას მიზნად აქვს დიპლომატიურ ურთიერთობათა აღდგენა რუსეთთან. ინგლისი შეიძლება განზე დარჩეს. იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი იქნება საბჭოთა რუსეთი და გაფართოვდება სავაჭრო კრედიტები, მაშინ ინგლისი მიიღებს მრავალმილიონიან შეკვეთებს. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ინგლის-რუსეთის ვაჭრობა გამოიხატება 40 მილ. გირ. სტ. არ ყოფილა არაკეთილსინდისიერების არც ერთი შემთხვევა რუსეთის მხრივ. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ახალ პარლამენტში დიდი უმრავლესობა სურვილს გამოსთქვამს საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ.

ამერიკა

სავაჭრო ურთიერთობისათვის.

ნიუ-იორკი. 14 დეკ. კონგრესის წევრმა ფრირმა, რომელიც დაბრუნდა რუსეთიდან, წარმოსთქვა კონგრესზე სიტყვა, რომელშიაც **მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან. „საბჭოთა რუსეთი, სთქვა ფრირმა, წარმატებით მიდის ეკონომიური აღორძინების გზით და რამოდენიმე წლის შემდეგ პირველ ადგილს დაიჭერს მსოფლიოს ერთა შორის“.** ფრირმა განაცხადა, რომ კულიჯის მოთხოვნილება იმის შესახებ, რათა რუსეთმა უნდა გადაიხადოს ვალი, მეტად საგრძნობი იქნებოდა, თუ ამას გამოიყენებთ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოების მიმართ.

პოლონეთი

პოლონეთის მთავრობა მომხრეა ურთიერთობის განახლების.

მოსკოვი. 15 დეკემბერი. პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასცა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს პოლონეთში ამხ. ობოლენსკის საბჭოთა მთავრობაზე გადასაცემად ნოტა, რომელშიაც პოლონეთის მთავრობა ადასტურებს ამხ. ჩიჩერინის ცნობას საბჭოთა კავშირის დაარსების შესახებ. პოლონეთის მთავრობა იღებს ცნობად საბჭოთა კავშირის დაარსებას კავშირში შემავალ რესპუბლიკების სუვერენულ უფლებების დაცვით და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ იმ ტრაქტატების და შეთანხმების შესრულებით, რომლებიც დადებულია აღნიშნულ რესპუბლიკებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის.

პოლონეთის მთავრობა თანახმაა იქონიოს საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

ნოტა ხელმოწერილია გარეშე საქმეთა მინისტრის დმოვსკის მიერ

ლატვია

ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან.

რიგა. 14 დეკ. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა მანეცკიმ აღნიშნა, რომ **საგრძნობლად გადიდდა საბჭოთა კავშირის ტრანზიტი და ვაჭრობა ლატვიასთან.**

აჯანყება მექსიკაში

დროებითი მთავრობა.

ბერლინი. 15 დეკემბერი. მეამბოხეთა მთავარ ბანაკიდან იუწყებიან ხუერტის ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ალვარეც დელ კასტილიო, რომელიც წინად ასრულებდა ბერლინში მყოფ წარმომადგენლის ობრეგონის თანამდებობას.

ბერლინი. 15 დეკემბერი. მექსიკის მეამბოხეთა წინამძღოლი, ფინანსთა ყოფ. მინისტრი გენერალი ხუერტა არჩეულია მექსიკის შეერ-

ბიბლიოთეკა

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებად დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების გამარტივების შესახებ.
8. მოხსენება ქართული ლაშქრის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი შ. ხახაშვილი.

თებულ შტატების პრეზიდენტად. პროვინციები მერიდა და პროგრესო შეუერთდენ მეამბოხეებს; უკანასკნელი განაგებს ამ ჟამად მექსიკის ყურეში არსებულ ყველა პროვინციებს.

მეამბოხეთა დამარცხება.

ბერლინი 15 დეკემბერი. მექსიკის მთავრობის წარმომადგენელმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ დღემდის მთავრობა თავის სიმაღლეზე სდგას ქვეყანაში, რომელიც მცირედის გამოკლებით სცნობს პრეზიდენტის ობრეგონის კანონიერ მთავრობას. ობრეგონის ჯარებს მოუხდათ შეტაკება მეამბოხეებთან, რომლებიც გამოვიდენ მთის რაიონიდან რკინისგზის ხაზზე ვერა-კრუზიდან მექსიკის დაბლობზე.

ბერლინი. 15 დეკემბერი. პარიზის გაზეთების მიერ ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბრძოლა მეამბოხეთა და რეგულიარულ არმიის შორის დასრულდა უკანასკნელის გამარჯვებით. 5 საათის ბრძოლის შემდეგ ესპერანტში 2.000 მეამბოხე სანხეციოს მეთაურობით სასტიკათ დაამარცხეს.

ფაშიზმის თარეში

რომი. 14 დეკემბერი. „ჯორნალე დ'იტალია“ იტყობინება, რომ იანვარში მოწვეული იქნება დიდი ფაშისტური საბჭო, რომელზედაც მუსოლინი გაარკვევს საარჩევნო ტაქტიკას. მომავალი არჩევნების გამო დიდი შლელვარებაა კათოლიკების ბანაკში; კლერიკალურ წრეებში განხეთქილებაა.

რომი 14 დეკემბერი. სოციალისტ-უნიტარისტების ფრაქციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების გამო, რათა არჩევნებში მონაწილეობის საკითხისათვის მიემართა პარტიის ცენტრალურ გამგეობისათვის, პრესის ფაშისტური ბიურო იტყობინება, რომ ფაშისტურმა პარტიამ „მიიღო ცნობად დღის წესრიგი, რომელიც მოწონებულ იქნა იტალიური სოციალიზმის ორთავე ფრაქციის მიერ და პარტია თავის მხრივ მიიღებს საჭირო ზომებს“.

სხვადასხვა

შვეცია.

კატა დალსტრემის გარდაცვალების გამო.

სტოკჰოლმი, 14 დეკემბერი. კატა დალსტრემის დასაფლავებაზე კომუნისტური ორგანიზაციების გარდა მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირები და სხვა მუშათა ორგანიზაციები.

თვით ბურჟუაზიული პრესაც აღიარებს, რომ კატა დალსტრემი იყო გამოჩენილი პიროვნება შვეციაში და იყო დაჯილდოვებული აგიტატორული ნიჭით.

უმუშევრობის ზრდა.

სტოკჰოლმი 14 დეკემ. სტოკჰოლმში უმუშევრობა ფართო ხასიათს ღებულობს სტოკჰოლმის უმუშევართა ბიუროში ნოემბრის განმავლობაში რეგისტრაციაში გატარებულია 1030 ახალი უმუშევარი.

საფრანგეთი.

კონრადიმ ჰპოვა თავშესაფარი.

პარიზი, 14 დეკემბერი. პარიზში ჩავიდა ვოროვსკის მკვლელი კონრადი.

ავღანისტანი.

ანტი-ინგლისური მოძრაობა.

პარიზი. 15 დეკემბერი. ავღანისტანში ბრიტანეთის მოქალაქეთა მკვლელობამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მოსალოდნელია ანტი-ინგლისური მოძრაობის დაწყება.

ესპანეთი

ნავთის წყაროები.

პარიზი. 14 დეკემბერი. ესპანეთში, სარაგოსის რაიონში, აღმოაჩინეს ნავთის წყაროები, რომლებიც თავისი სიმდიდრით აღემატებიან კალიფორნიის და რუსეთის წყაროებს.

ინგლისი

ლონდონი. 14 დეკემბერი. ოფიციალური ცნობით, ინგლისში უცხოეთის საქონლის შეზიდვა გადიდდა 99 მილიონიდან 101 მილ. გირ. სტერლინგამდე. ოქტომბერთან შედარებით ექსპორტი შემცირდა 71 მილიონიდან 66 მილ. გირ. სტერლინგამდე.

ფინეთი

სეიმის მომავალ არჩევნების გამო.

ჰელსინგფორსი. 14 დეკ. „მუშათა ორგანიზაციების უწყებებმა“ დაიწყო კამპანია სეიმის მომავალ არჩევნებისათვის პროფკავშირების მოსამზადებლად; გაზეთი მოითხოვს პროფკავშირების კანდიდატების წამოყენების და წინასწარ საარჩევნო კამპანიის ენერგიულად ჩატარებას.

ამერიკა.

ბამბის მოსავალი.

ნიუ-იორკი. 14 დეკემბერი, როგორც ოფიციალური წყაროებიდან გადმოგვცემენ, ამერიკაში ბამბის მოსავალი უდრის 10,081,000 შეკვრას (შეკვრა—440 გირ.; გასულ წელს კი უდრიდა 9,000,000 შეკვრას.

იტალია.

კომუნისტურ პარტიის დევნა.

რომი 14 დეკემბ. მილანში კვესტურამ აკრძალა კომუნისტურ პერიოდულ გაზეთის გამოცემა. ფაშისტურ მიტინგის შემდეგ მის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო დემონსტრაცია „კორრიერა დელლა სერა“-ს რედაქციის წინ. დემონსტრანტები შეიჭრენ რედაქციაში, დაარბიეს სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა კომუნისტური გაზეთები.

შვეიცარია

პრეზიდენტის არჩევნები.

პარიზი. 15 დეკემ. შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტათ ქალ. ბერნში არჩეულია შუარი.

დანია

რუსეთ-დანიის ბანკი.

კოპენჰაგენი. 15 დეკემ. კოპენჰაგენში იხსნება რუსეთ-დანიის ბანკი.

სამხრეთ-სლავია

ვრანგელელების ქონება.

პრაღა. 15 დეკემ. ოფიციალურ გაზეთის „ჩეხოსლოვენსკა რესპუბლიკა“-ს ცნობით, სამხრეთ-სლავიის სპეციალურმა კომისიამ კატაროდან ბელგრადში გადაიტანა ვრანგელელების ოქროს და ვერცხლის ქონება. ქონების ნაწილი გადაეცა სამხრეთ-სლავიის ბანკს, უდიდესი ნაწილი—გარეშე საქმეთა სამინისტროს და ნაციონალურ ბანკს.

სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს შეისყიდოს ეს სიმდიდრე, რომელსაც 400 მილიონ დინარად აფასებენ.

იაპონია

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ.

ვლადივოსტოკი 15 დეკემ. იაპონიაში, დაბა ფუკაგავაში დაპატიმრებულია მუშათა ორგანიზაციის „პროლეტარიატის“ გამგეობის წევრი საკანა, რომელსაც ბრალს სდებენ კომუნისტურ პროპაგანდაში.

პოლონეთი.

სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის შორის.

ვარშავა. 14 დეკემბერი. დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის მეორე ყრილობაზე მემარცხენეებმა გაილაშქრეს კავშირის ძველი გამგეობის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა რევოლიუციონურ მიმდინარეობათა მუშაობას. მემარჯვენეებმა მოახერხეს გაეყვანათ ყრილობაზე რეზოლიუცია, რომელიც უკრძალავს კავშირის წევრებს სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის წინააღმდეგ გალაშქრებას. ყრილობის მემარცხენე ნაწილმა პროტესტი განაცხადა ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დაჯილდოვება წითელი დროშის ორდენით.

მოსკოვი. 15 დეკ. სრულიად რუსეთის ცაკმა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის პროფესორი ჩუდიაკოვი მშრომელთა სასარგებლოთ 45 წლის პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობისათვის.

ესერების კონფერენცია.

ტომსკი. 15 დეკემბერი. გუშინ დამთავრდა უბრალო ესერების საგუბერნიო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 34 დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდენ პარტიის 120 წევრს. კონფერენციამ დაადგინა დაშალოს პარტიის საგუბერნიო ორგანიზაცია, პროვოკაციულათ ჩასთვალოს ყველა გამოსვლები მისი სახელით და მოუწოდოს ყველა ყოფილ ესერებს შევიდენ საბჭოთა კავშირის მებრძოლთა რიგებში, რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

კოლჩაკოველების გასამართლება.

ბლაგოვეშჩენსკი. 15 დეკემბერი. კოლჩაკის კონტრ-დაზვერვის ყოფილ აგენტებს მინიაევს და ლებედევს, რომელნიც მოღალატურ მუშაობას აწარმოებდენ საბჭოთა მუშაკების მიმართ, ამურის საგუბერნიო სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა; მათ მიმართ ამნისტია გამოყენებული არ იქნება.

მუშაობის გაფართოვება ფაბრიკებში

იაროსლავლი. 15 დეკემბერი. იაროსლავლის ფაბრიკა „წითელი პერეკოპი“ მუშათა რიცხვს 81.000 ადიდებს 126 000; კუტუზოვის სახელობის როსტოვის ქარხანა იანვარში ამუშავებს ახალ კორპუსს. ქარხანა „სოციალიზმის განთიადი“ სოფ. ველიკაცი აფართოვებს საფეიქრო კორპუსს. მუშაობის გაფართოვება ქარხნებში სამუშაოს მისცემს 1.700 უმუშევარ ფეიქარს.

მუშათა ბანკი.

ცარიცინი. 15 დეკემბერი. იხსნება პირველი მუშათა ბანკი.

პლატინის მადანი.

პეტროგრადი. 15 დეკემბერი. ალტაის გუბერნიაში გეოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციამ აღმოაჩინა პლატინის მადანი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აფხაზეთი

დახმარება გერმანიის მუშებს.

სოხუმი, 15 დეკემბ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტი შეუდგა შემოწირულების შეგროვებას გერმანიის მუშათა სასარგებლოდ. პარტიის წევრებსა და კანდიდატებს სავალდებულოდ გაუხადეს, ერთი კვირის განმავლობაში წარადგინონ თავისი ძვირფასი ნივთეულობა.

ბაღოსანთა საზოგადოება.

სოხუმი. 15 დეკემბ. დაარსდა აფხაზეთის ბაღოსანთა საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს: ურთიერთ დახმარებას სუბსიდიებით, ბაღოსნობისა და მებოსტნეობის გაუმჯობესებას, ნაწარმოების გაზიდვას და სხ. განზრახული აქვთ შეიერთონ მევენახეები და მეღვინეები.

ზეთისხილის მოსავალი

სოხუმი. 15 დეკემბ. ახალ აფონში იმედი აქვთ, რომ ზეთის ხილის მოსავალი 4000 ფუთამდე მიაღწევს ჯირჯირობით მოკრეფილია 2500 ფუთი.

თამბაქო პეტროგრადისათვის

სოხუმი. 15 დეკემბ. პეტროგრადის თამბაქოს ტრესტს სოხუმიდან მიაქვს 845 შეკვრა თამბაქო, პეტროგრადის თამბაქოს მრეწველობისათვის.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობა.

სოხუმი. 14 დეკემბერი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ანგარიში წარსულ 9 თვის განმავლობაში წარმოებულ მუშაობის შესახებ; ანგარიშიდან სჩანს, რომ აღნიშნულ დროის განმავლობაში სტაციონარული საექიმო დახმარება არ იყო საკმაო რისი: ერთ საწოლზე მოდიოდა და 600 კაცი. სულ სოხუმში არის 120 საწოლი, 5 მაზრაში—110. საავადმყოფოები დატვირთულია და მათთვის აუცილებელია რემონტის გაკეთება. აღნიშნული დროის განმავლობაში სტაციონალური დახმარება მიიღო 3.000 კაცმა, ამბულატორული დახმარება კი—100.000 კაცმა. წარსულ წელთან შედარებით ამბულატორული დახმარება გაუმჯობესდა, ავადმყოფთა რიცხვი კი შემცირდა. დამზღვევ კასის ამბულატორია ხელახლა იქნა შეკეთებული და ის ყოველდღიურათ იღებს 500-დე ავადმყოფს. არის რენტგენის კაბინეტი და მეცნიერულად მოწყობილი სამალიარიო სადგური, რომელმაც აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში საექიმო დახმარება გაუწია 15.000 ავადმყოფს.

აჭარა.

აჭარის ჰიდრო-სადგური.

ბათომი, 13 დეკემბერი. საკავშირო რესპუბლიკის საბიუჯეტო სამართველო ამ დღეებში გამოუგზავნის აჭარის ჰიდრო-სადგურის ამგებ კომიტეტს 75.000 ჩერვონის მანეთს.

ხანძარი ახალ-ნურიის ბაზარზე.

ბათომი. 15 დეკ. 12 დეკემბერს, სალამოს 9 საათზე, ახალ-ნურიის ბაზარზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი მოედო სახლვაო ტრანსპორტის მუშათა კოოპერატივის გვერდით მდებარე საჩაიეს. მთლად გადაიბუგა 5 დუქანი და კოოპერატივის მაღაზია.

ნავთსადგურში.

ბათომი, 15 დეკემბერი. დღეს ლონდონისკენ გავიდა ნავთის მზიდველი გემი „მიტილუს“-ი, რომელმაც „არკოსის“ საზოგადოებისათვის წაიღო 500.871 ფუთი ნავთი.

მოვიდა ინგლისის სამგზავრო გემი „ელენა“.

აზერბეიჯანი

ბავშვთა ავადმყოფობის ინსტიტუტი.

ბაქო. 14 დეკემბერი. ამხ. ნარიმანოვის სახელობის საბავშვო საავადმყოფოში მოხდა რეორგანიზაცია და ის გადაკეთდა ბავშვთა ავადმყოფობის ინსტიტუტად. ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბავშვობისა და დედობის დაცვის საკითხებს.

სამალიარიო ყრილობა.

ბაქო. 14 დეკემბერი. აზერბეიჯანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მოსკოვში გაგზავნა აზერბეიჯანის სამალიარიო ყრილობის წევრი, პროფესორი შიროკოგოროვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სრულიად საკავშირო სამალიარიო ყრილობის მუშაობაში.

მებამბეობა.

ბაქო. 14 დეკემ. 20,000 დესეტინა დათესილ სივრციდან კალიის გაჩენისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შემდეგ გადარჩა 14,000 დესეტინა. თუ საშუალოდ თვითეულ დესეტინიდან ვიანგარიშებთ 40 ფუთს, მაშინ აზერბეიჯანში გადარჩენილ ბამბის ნათესების სივრციდან მოსალოდნელია 570,000 ფუთი ნედლი ბამბა. 1-ლ დეკემბრისათვის მთელს აზერბეიჯანში მიღებულია 316,815 ფ., რაც შეადგენს განზრახულ გეგმის 55 ნახ. პროცენტს. მიღებულ ბამბიდან 96 პროც. მოდის პირველ ხარისხის ბამბაზე, 3,8 პროც. კი მეორე ხარის. ბამბაზე, ბამბის შეგროვების შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს ცნობილი.

თურქული გაზ. „კომუნისტი“-ს მეათასე ნომერი.

ბაქო. 15 დეკემ. გამოვიდა აზერბეიჯანის ცაკის, ბაქოს საბჭოს, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას და ბაქოს კომიტეტის გაზ. „კომუნისტის“ მეათასე ნომერი თურქულ ენაზე. ამის გამო აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმი გაზეთისადმი განსაკუთრებულ მიმართვაში, სხვათა შორის სწერს:

„ახალგაზრდა თურქული პრესა გაზეთ „კომუნისტი“-ს სახით აზერბეიჯანში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების დღიდანვე ემსახურებოდა აზერბეიჯანის მშრომელთა განათლებას, აღრმავებდა მათში რევოლიუციონურ თვითშეგნებას, რითაც მან ხელი შეუწყო მშრომელ გლეხობის აბსოლიუტურად განთავისუფლებას ბეგების და ხანების ბატონობისაგან. აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან განათლებისა და კულტურისაკენ ლტოლვა, რომელსაც იჩენდენ რესპუბლიკის მიყრუებულ კუთხეშიაც კი, არის შედეგი გაზეთ „კომუნისტი“ს ნაყოფიერ მუშაობისა. რევოლიუციის პირველ წლებში გაზეთი „კომუნისტი“ იყო რა ჯერ კიდევ საკმაოდ მოუმაგრებელ ახალგაზრდა თათრულ პროლეტარულ პრესის მოწინავე წარმომადგენელი თავისი წერილებით და შენიშვნებით მუშურ-გლეხურ მთავრობის შესახებ, აღრმავებდა მასებში სიყვარულს პროლეტარულ რევოლიუციის ავანგარდის—კომუნისტურ პარტიისადმი. გაზეთი „კომუნისტი“ იყო რა პროლეტარული რევოლიუციის ერთგული და მისი იდეების გამავრცელებელი აღმოსავლეთში, უჩვენებდა აღმოსავლეთის ხალხს ნამდვილ გზას დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის და ბარბაროსობის საუკუნოებრივ მონობისაგან განთავისუფლებისაკენ. გაზეთ „კომუნისტმა“, რომელიც თავდაპირველად უმნიშვნელო რაოდენობით და მეტად არახელსაყრელ პირობებში გამოდიოდა, მეათასე ნომერის გამოშვების მომენტში მოიპოვა ფართოდ გავრცელება აზერბეიჯანის მშრომელ მასებს შორის და შესძლო თავისი ტირაჟის 6,000 ეგზემპლიარამდე აყვანა. ცხადია, რომ გაზ. „კომუნისტს“, რომელმაც შეასრულა ფრიად საპასუხისმგებლო როლი ბეგების და ხანების ჩაგვრისა, მონობისა, გაუნათლებლობისა და სიბნელისაგან მუშათა და გლეხთა მასების განთავისუფლების საქმეში, კიდევ უფრო მეტი გავრცელება ტირაჟი და მკითხველები უნდა მოიპოვოს“.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 14 დეკემბერი. 7—8 დეკემბერს, ბაქოს ყველა სამრეწველოებზე ამოღებული იყო 1.858 000 ფუთი ნავთი. გამოსახდელად მიწვეული იყო 889 000 ფ. გამოხდილი დაბრუნებულია 876.000 ფუთი. დაწმენდილა—188,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 172 დაზგა. ჩაბურღულია 117 საჟენი.

სომხეთი

აგრონომიული პროპაგანდა.

ერევანი. 14 დეკემბერი. მიწათმოქმედების კომისარიატმა აგრონომი ალამალიანი გაგზავნა ზანგეზურში საგრონომიო აგიტაციისათვის. ალამალოვმა მოაწყო საუბრები და ლექციები აგრონომიულ საკითხების შესახებ 24 სოფელში. გლეხები დიდის ინტერესით ისმენდნენ ლექციებს. ლექციების გავლენით, ბაზარვენდის სოფლელებმა გადასწყვიტეს აღადგინონ ქარხანა შვეიცარიის ყველისა. მიწათმოქმედების კომისარიატმა აღუთქვა ქარხნის აღსადგენად ხე-ტყის მასალით დახმარება. ვერიშენში ყველის ქარხანას აშენებენ. სოფ. არძევანიკის, ანგედაკოტის და სეჯკარის გლეხებმა გადასწყვიტეს, საკუთარი ხარჯით შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, თამბაქოს თესლი და სხვ. ყოველივე ეს ბევრის მაჩვენებელია თვითდახმარების საქმეში ადგილობრივ.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში.

ერევანი. 14 დეკემბერი. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელი სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსაშვები გამოცდა მოხდა სწავლა 8 ნახ. თვეს სწარმოებდა. სასწავლებელი დაასრულა 9 მოწაფემ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(15 დეკემბერი).

ჩერვონცები	— — — 275,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	270,000
ჩეკები	—270,000
დოლარები ეფექტ.	— 63,500
ჩეკები	— 60.000
ოსმ. ქაღ. ლირა	37.000
იტალიური ლირა	1950
ფრანგული ფრანკი	2925
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მუშტაიდის ფასები.

პური 1 ხარ.—1250 ათ., პური 2 ხარ—1 მილ., ძროხის ხორცი—4,500 ათ. ცხვრის ხორცი—5200 ათ., შაქარი რაფინადი—13,800 ათასი, ფხვნილი შაქარი—8750 ათ. ვერმიშელი—4000 ათ. ბრინჯი ალდ.—2150. ათ. კარტოფილი—350. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხ.—1800—2 მილ. პური 2 ხარ. —1.500 ათ., ძროხის ხორცი 5 მილ ცხვრის ხორცი—6 მილ., შაქარი რაფინადი—14 მილიონი., ფხვნილი შაქარი—9 მილ., ვერმიშელი—4—4500 ათ. ბრინჯი ალდ.—2500 ათ. კარტოფილი—400 ათ. მაკარონი 5 მ.

ბირჟის მიწოდება.

მავთული (რბილი), პურის სპირტი უმაღლეს ხარ. (300.000 გრადუსი). შვეიცარიული ყველი. ავსტრალიური ქონი. სარეპტის მდოგვი. „ჯოქსინდიკატი“-ის პროდუქცია. ბორჯომის. ქარხნის პროდუქცია. შაქარი რაფინადი 1 ხარ. ყურაგა. ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. საშენებელი ლურსმნები. შაქარი ფხვნილი „იავა“ სი. შაბიამანი. ჩაი; რუს. მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. ს. მ. ფ. ს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.) ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირის ზეთი მაკარონი და ვერმიშელი ოზურგეთის ჩაი. საბზე.

ბირჟის მოთხოვნილება.

საბზ. ყურაგა. ხორბალი და სხ პურეული. „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია. შაქ. რაფ. & ფხვნილი. პორტლანდის ცემენტი. რუს. მანუფაქტურა. ყუბანის ფქვილი. ჰაჯის არაყი (1.000 000 გრად.). ტექნიკური ცხიმი. საშენებელი ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი

შაქარი ფხვნილი საზღვარ გარეთის—12 მ. 75 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი. ქვა-მარილი ნახიჩევ.—41 კ. ჩერ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი ნახიჩევანში (400 000 ფუთი).

საქონლის ბაზრის განწყობილება

ხორბლის და პურეულის ბაზარზე გაცხოველებულია. შაქრის და ხილეულის ბაზარზე—მტკიცეა. საფეიქრო და ტექნიკური ცხიმის ბაზრებზე—სუსტია. დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

13 დეკემბრის განმავლობაში ბირჟის გარეშე დადებულია 22 გარიგება, სულ 57258 მან. ჩერ. თანხისა.

ვალიუტის ბირჟის განწყობილება

ჩერვონცის და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსი თანდათანობით ზევით იწევს.

სრ. რუს. კოოპერატიულ ბანკში.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი ხსნის ამ მოკლე ხანში თავის განყოფილებებს ქუთაისში და ერევანში.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(15 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	275.000,	60 კ.—	16.500.000
2 „—	550.000,	70 „—	19.250.000
3 „—	825.000,	80 „—	22 000.000
4 „—	1.100.000,	90 „—	24.750.000
5 „—	1.375.000,	1 მ.—	27 500.000
6 „—	1.650.000,	2 „—	55 000.000
7 „—	1.925.000,	3 „—	82.500.000
8 „—	2.200.000,	4 „—	110 000.000
9 „—	2.475.000,	5 „—	137.500.000
10 „—	2 750.000,	6 „—	165 000.000
20 „—	5 500 000,	7 „—	192 500.000
30 „—	8.250.000,	8 „—	220.000.000
40 „—	11 000.000,	9 „—	247.500.000
50 „—	13.750.000,	1 ჩერ.	275.000.000

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მოქმედება საქართველოში

(1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე).

9 თვის განმავლობაში სამმართველო ზრუნავდა ბიუჯეტის გაჯანსაღების, ხარჯების შემცირების შესახებ და სხვ.

ბიუჯეტის გაჯანსაღებისათვის სამმართველო ცდილობდა ჩაეყენებია ხარჯები შესაფერ ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში კომისარიატების ხარჯთ-აღრიცხვები საერთოდ შემცირებულ იქნენ 17 პროცენტით. ამ რთულ საქმეს განაგებდა საბიუჯეტო სათათბირო, რომელმაც შეადგინა წლის მეოთხედების შესავალ-გასავალის აღრიცხვები და საბალანსო ცნობები და სხვ.

სახელმწიფო შემოსავლის ქვე-განყოფილების საშუალებით მოხდა სხვადასხვა დაწესებულებების (იუსტიციის კომისარიატის, სახალხო სასამართლოების, ნოტარიუსების, ჯანმრთელობის კომისარიატის და სხვა დაწესებულებების) რევიზია იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენად თავის დროზე შეაქვთ მათ სალაროებში შეგროვილი სახელმწიფო შემოსავალი.

საანგარიშო და საკასო დარგი.

საანგარიშო-საკასო დარგში სამმართველომ შეადგინა ანგარიშები შემოსავლის აკრეფის და ხარჯების წარმოების შესახებ ყველა 19 სახაზინოში.

ხაზინის კრედიტორების დასაკმაყოფილებლად სამმართველოს გადაქონდა ფული ერთ სალაროდან მეორეში.

აღნიშნულ პერიოდის დასაწყისში სამმართველომ დაამთავრა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფულის ნიშნების გადაცვლა ამიერ-კავკასიის ბონებზე.

სამმართველო აწარმოებდა მომგებიანი სესხის რეალიზაციას. ეს ოპერაცია განაწილებული იყო სამმართველოს, სახალხო ბანკის და აფხაზეთის კასათა შორის. გამოშვებულ ობლიგაციების ნომინალური თანხა—6650 მან. განაწილებულია ამრიგად:

5 მანეთიანი ობლიგაციები 469—ნომინალური თანხა—2375 მან.

25 მანეთიანი ობლიგაციები 29—ნომინალ. თანხა—720 მან.

აღებულია ამ ობლიგაციებში სულ 3 026 147 000 მან. თავდაპირველად მომგებიანი სესხის ობლიგაციებ

ბოლშევიზმის არსი და ახალი პარტიული კურსი

(დისკუსიის გამო პარტიის ახალი ამოცანების შესახებ)

(დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 289)

ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეა—პროლეტარიატის ჰეგემონია გლეხობასთან მისი რევოლიუციონური კავშირის ყველა სტადიებში, ნამდვილათ წითელი ზოლივით არის გატარებული ბოლშევიზმის მთელ ისტორიაში, ნამდვილათ, წარმოადგენს ბოლშევიზმის მთავარ ნერვს, მის სასიცოცხლო მიზანს, ჩვენი მუშაობის, პოლიტიკის და სტრატეგიის საერთო გეგმის ფოლადის ღერძს. პროლეტარიატის რევოლიუციონური კავშირი გლეხობასთან ცენტრია იმ პოლიტიკის და ტაქტიკის, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ ჩვენს გადასარჩენათ. ასეთია ამხ. ლენინის უკანასკნელი გაკვეთილი, რომელიც მან მისცა პარტიას 1922 და 1923 წლ. კავშირი წარმოადგენს ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეის კონკრეტიულ-ისტორიულ ფორმას მიმდინარე მომენტში. „მაკრატელი“—მყვირალა უარყოფაა ამ კავშირის, კავშირის გაბმის ნაცვლად კავშირის გაწყვეტა.

„ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანა მთლიანად იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღებით ვადევნოთ თვალყური იმ პირობებს, რომელთაგანაც შეიძლება წარმოიშვას განხეთქილება და ავიცილოთ ისინი“ (ნ. ლენინი. „როგორ მოვახდინოთ ჩვენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია“).

რა მოუვიდა „მაკრატელს“ 1923 წ. განმავლობაში?

იანვარში სასოფლო-სამეურნეო ინდექსი ომამდი არსებულ ინდექსზე დაბლა იდგა 25 პროც., სამრეწველო კი—მაღლა 12 პროცენტით, განსხვავება—37 პროც. პირველ ოქტომბრისათვის სასოფლო-სამეურნეო ინდექსი ომამდი არსებულ ინდექსზე დაბლა იდგა 28 პროც., სამრეწველო კი—სჭარბობდა ომამდი არსებულ ინდექს—130 პროცენტით, განსხვავება 158 პროც. სამრეწველო პროდუქტები ორნახევარჯერ მეტი ფასობენ, ვიდრე ომამდი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კი—ერთნახევარჯერ ნაკლებ, ვიდრე ომამდი. მოსავალის რეალიზაციის დროს გამოირკვა: მიუხედავათ იმისა, რომ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის პროდუქციის ნაყოფიერება ბევრათ ვერ აღწევს ომამდი არსებულ ნორმას, შედარებით მაინც საქონელი მეტი მოგვეპოვება. კავშირი სოციალისტურ და გლეხურ ეკონომიკას შორის არ არსებობს. პირიქით, არის ამ კავშირის დარღვევა, რომელიც 1923 წლის განმავლობაში ბევრათ გაიზარდა. ერთგვარი გაუმჯობესება ოქტომბერში და ნოემბერში არ სცვლის ძირითად ფაქტს — „მაკრატლის“ თვალსაჩინო განსხვავებას. პოლიტიკურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ამ მდგომარეობიდან შეიძლება წარმოიშვას პოლიტიკური განხეთქილება გლეხობასა და პროლეტარიატს შორის. აი სად არის ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანა, ძველი, ახალი, უახლესი ამოცანა, თუ ამ ამოცანას მიუდგებით ჩვენი პოლიტიკის, სტრატეგიის საერთო გეგმით, თუ პარტიის ახალი ამოცანების დროს ერთი წუთითაც არ გაუშვებთ მხედველობიდან ბოლშევიზმის ცენტრალურ პოლიტიკურ იდეას.

ვინც ახალ ამოცანებში ხედავს მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საკითხს და ფიქრობს, ყველაფერი დანარჩენი თავისთავად გაკეთდება, ის ივიწყებს ბოლშევიზმის ცენტრალურ პოლიტიკურ იდეას, მასში, როგორც სჩანს, მოდუნებულია მთავარი ნერვი—ფხიზელი დამოკიდებულება პროლეტარიატის გლეხობასთან რევოლიუციონური კავშირის პოლიტიკური მდგომარეობისადმი. ვისაც, პირიქით, ეს სიფხიზლე უკიდურესობამდი აქვს განვითარებული, ვინც თავის მსჯელობის დროს მიდის იმის მტკიცებამდი, რომ პარტია გამოხატავს და უნდა გამოხატავდეს გლეხობის ფსიქოლოგიას, ის ამახინჯებს ბოლშევიზმის ცენტრალურ პოლიტიკურ იდეას, აქცევს მას სიყალბეთ, „ნაროდნიკობათ“ და ესერებათ. კომუნისტური პარტია უნდა ითვალისწინებდეს გლეხობის ფსიქოლოგიას თვითეულ ისტორიულ მომენტში, პროლეტარიატმა უდიდესი მსხვერპლი უნდა გაიღოს გლეხობის ინტერესების უზრუნველსაყოფათ, მაგრამ კომპარტია არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოხატავდეს გლეხობის ფსიქოლოგიას, თუ ჩვენ გვსურს, რომ პროლეტარიატი იყოს რევოლიუციის ჰეგემონი.

ვინც ცრუ-მემარცხენე კომუნიზმის მოსაზრებებით ივიწყებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ვალდებულებებს გლეხობის მიმართ და მათ საწინააღმდეგოთ პირველ რიგში აყენებს მუშის ვიწრო ცეხობრივ, ვიწრო პროფესიონალურ „უფლებებს“, ის გადადის „მუშური ჯგუფის“ და „რაბოჩაია პრავდას“ „მუშური ოპოზიციის“ ბანაკში. ვინც არის-დემოკრატიული თვალებით იწყებს გლეხობის ფსიქოლოგიის გამოხატვას, ის ამზადებს, შეიძლება თავისთავის შეუმჩნევლად, გლეხურ ოპოზიციას პარტიაში. მაგრამ არც მუშური და არც გლეხური ოპოზიცია არ არის პარტია, არ არის ბოლშევიზმი. ერთიც და მეორეც წვრილბურჟუაზიულია, ერთიც და მეორეც გამოხატავს წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენას პარტიაში. „მუშური“ ოპოზიციის სოციალური საფუძველია—მუშური არისტოკრატია. გლეხური ოპოზიციის სოციალური საფუძველი—გლეხური დემოკრატია. ერთსაც და მეორესაც ძლიერ უყვართ „წმინდა“ დემოკრატიაზე ლაპარაკი, როგორც ერთისთვის, ისე მეორესათვის უცხო არის იმის გაგება, რომ პროლეტარული დემოკრატია და პროლეტარიატის დიქტატურა ერთი და იგივეა; ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ ხედავენ, რომ პარტიის დიქტატურა პროლეტარიატის დიქტატურის ღერძია, რომ შინაპარტიული დიქტატურა შინაპარტიული დემოკრატიის დიალექტიური დამატებას წარმოადგენს, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარული დიქტატურის, ე. ი. პროლეტარული დემოკრატიის მთელი აპარატი უნდა ვაშენოთ ზევიდან (დიქტატურის მეთოდებით) და ქვევიდან (დემოკრატიის მეთოდებით), ძველი ბოლშევიკური ტრადიციის წესების მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წ. იყო შემუშავებული (იხ. ლენინი „დროებითი რევოლიუციონური მთავრობის შესახებ“, წერილი მეორე—„მარტო ქვევიდან, თუ ქვევიდანაც და ზევიდანაც“, 1905 წ. მაისი. თხზულებები ტომი VI) ერთი სიტყვით, როგორც მუშური, ისე გლეხური ოპოზიციისათვის გაუგებარია ბოლშევიზმის ცენტრალური ორგანიზაციული იდეა—დემოკრატიული ცენტრალიზმი. ლენინის მიხედვით, მთელი ბოლშევიზმი მდგომარეობს მის ცენტრალურ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ იდეაში—კაპიტალიზმზე გამარჯვებისათვის ბელადების, კომუნისტურ პარტიასა, მუშათა კლასსა და მშრომელ მასას შორის სწორი ურთიერთობის, რევოლიუციონური კავშირის საჭიროებაში. (იხ. „Детская болезнь“, თავი V; მეორე კონგრესის თეზისები—„კომინტერნის მთავარი ამოცანები“). აქ მოცემულია ბოლშევიზმის ცენტრალური ორგანიზაციული და პოლიტიკური იდეის სინტეზი. მაგრამ ყველა ეს იდეები დავიწყებული აქვთ მუშურ და გლეხურ ოპოზიციას, რომელთა ჰორიზონტი უახლოვდება ზოგჯერ მენშევიზმს და ზოგჯერ ესერობას.

მეტად დამახასიათებელია, რომ ნოე ჟორდანიამ მტრის სიფხიზლით შეიგრძნო ბოლშევიზმის მთავარი ნერვის მნიშვნელობა. როცა საქართველო იწოდა გლეხობის აჯანყების ცეცხლში, ჟორდანია სჩიოდა სეიმში: „ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით ძლიერდება ანარქია. მუშათა კლასი ბოლშევიკურათ არის განწყობილი, თვით მენშევიკი მუშებიც კი ბოლშევიკებს თანაუგრძნობენ. ის, რაც ახლა ჩვენს სოფლებში ხდება, არ არის ახალი: ასეთივე ამბები ხდებოდა ყველა რევოლიუციებში, ყოველგან გლეხური მასები გამოდიოდენ დემოკრატიის წინააღმდეგ. დროა ბოლო მოუღოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაროდნიკულ-გლეხურ ილლიუზიებს. დროა დაუბრუნდეთ მარქსს და მტკიცეთ დავდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე გლეხური რეაქციის წინააღმდეგ“ (სიტყვა სეიმში 1918 წ. 15 თებერვალს; მოყვანილი აქვს ტროცკის წიგნში „იმპერიალიზმსა და რევოლიუციას შუა“, გვ. 51—52).

აქ არის მთელი მენშევიზმი. ნაროდნიკული ილლიუზიების ქვეშ ნაგულისხმევია ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეა—პროლეტარიატის ჰეგემონია გლეხობასთან რევოლიუციონური კავშირით. ჟორდანია მოუხმობს უკან ლენინიდან მარქსისკენ. ვნახოთ რა შეგვხვდება ამ საინტერესო გზაზე პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობის შესახებ.

პირველი შეხვედრა: „,წვრილი გლეხობა ქალაქის პროლეტარიატში თავის ბუნებრივ მოკავშირეს და ბელადს პოულობს. გლეხობაში პროლეტარული რევოლიუცია იპოვის ხორსს, რომლის გარეშე მისი სოლო ყველა გლეხურ ქვეყნებში გედის სიმღერას მიემზგავსება“ (მარქსი, ბრიუმერის 18, თავი 7, 1852 წ. ციტატა მოყვანილი აქვს რიაზანოვს წიგნში „Очерки по истории Марксизма“, წერილში „მარქსი და რ. კ. პ.“)

მეორე შეხვედრა: „საქმის მთელი მიმდინარეობა დამოკიდებული იქნება პროლეტარული რევოლიუციის დახმარების შესაძლებლობაზე გლეხობის ომების გამეორებით“. (მარქს-ენგელსი, წერილები 1856 წ. 16 აპრილი, № 37).

მესამე შეხვედრა: „შეუძლებელია ფიქრიც კი მტკიცე გამარჯვებაზე, თუ პროლეტარიატი არ მიიმხრობს ხალხის მასას, ე. ი. გლეხობას“ (ენგელსი, წინასიტყვაობა „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“, 1895 წ. 8 მარტი, თხზულებები ტ. 3, გვ. 21)

მაშასადამე მარქსის და ენგელსის ნახევარი საუკუნის რევოლიუციონური მოღვაწეობის მთელ გზაზე ჩვენ ვხვდებით ერთსა და იმავე წითელ ზოლს—კურსს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის რევოლიუციონური კავშირისაკენ და პროლეტარიატის ჰეგემონიისაკენ ამ რევოლიუციონურ კავშირში. როგორც ირკვევა, ბოლშევიზმს არსს ღრმა ფესვები აქვს მარქს-ენგელსის სტრატეგიასა და ტაქტიკაში.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ მარქს ენგელსის ღირსეული მემკვიდრეები ვართ.

მენშევიზმს, კაუტსკიანიზმს და მუშურ ოპოზიციას კი ერთი რამ დარჩენიათ—ინუგეშონ თავი იმით, რომ მარქს-ენგელსის ზემოთ მოყვანილი ციტატები, მხოლოდ უბრალო შეცდომებია. კაუცკი ხომ ასე სცდილობდა აეხსნა პროლეტარიატის დიქტატურის ადგილი მარქსიზმში.

ბოლშევიზმის დამსახურება მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირით ჰეგემონიის ხელმეორეთ აღმოჩენაში. პირველათ ის აღმოაჩინეს მარქსმა და ენგელსმა. მეორე ინტერნაციონალმა დაასამარა ეს აღმოჩენა, ბოლშევიზმმა კი კვლავ აღმოაჩინა ის...

რაც შეეხება ესერობას და გლეხურ ოპოზიციას, მათ წინააღმდეგ მიიღო ზომები ენგელსმა ჯერ კიდევ 1879 წ. „პარტიაში წვრილ ბურჟუაზიული ელემენტების და გლეხობის შესვლა თუმცა მოწმობს მოძრაობის ბრწყინვალე განვითარებას, მაგრამ ამავე დროს საფრთხესაც წარმოადგენს... მათი პარტიაში შესვლა არის იმის დამამტკიცებელი, რომ პროლეტარიატი ნამდვილათ შეიქნა ხელმძღვანელი კლასი. მაგრამ რადგან ისინი მოდიან წვრილ ბურჟუაზიული და გლეხური წარმოდგენებით და სურვილებით, ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროლეტარიატი ვერ შეასრულებდა თავის ხელმძღვანელ როლს, თუ ერთგვარ დათმობებზე არ წავიდოდა ამ წარმოდგენებისა და სურვილების წინაშე“ (ენგელსი, პოლიტიკური ანდერძი“, გვ. 7). საქმეც ამაშია. პროლეტარიატი ვერ შეასრულებდა რევოლიუციის ჰეგემონის ხელმძღვანელ ისტორიულ როლს, რომ კომუნისტურმა პარტიამ დაიწყოს წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ფსიქოლოგიის გამოხატვა.

წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის „გადაკეთება“, აღზრდა შეიძლება და აუცილებელია მხოლოდ ხანგრძლივი, თანდათანობითი და ფრთხილი ორგანიზაციული მუშაობით. პარტიამ თვალყური უნდა ადევნოს მასის სულიერ განწყობილებას, გავლენა უნდა მოახდინოს ამ მასაზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოხატავდეს მის ფსიქოლოგიას, ეს ერთნაირად ეხება იმ წვრილ ბურჟუაზიულ დაქსაქსულობას, მერყეობას, სიმტკიცის და გაერთიანების და ორგანიზაციული მუშაობის უნარის უქონლობას, რომელიც უსათუოდ და ღუპავს ყოველგვარ პროლეტარულ მოძრაობას, თუ მას რაიმე დაუთმეთ (იხ. „Детская болезнь“, 33—52 გვერ.)

ათასჯერ მართალი იყო მარქსი, როცა ის ლაპარაკობდა რევოლიუციის პროლეტარულ სოლოსა და გლეხურ ხოროს შესახებ. ასეთი საზომით ხელში ადვილია ორი ასეთი მუწუკის გამორკვევა ჩვენი პარტიის ტანზე ან ტანის ახლო, როგორიც არის მუშური ოპოზიციის გამსკდარი მუწუკი და შესაძლოა დამწიფების პროცესში მყოფი მუწუკი გლეხური ოპოზიციისა. მუშურმა ოპოზიციამ აიღო ყალბი პროლეტარული სოლო რევოლიუციის გლეხურ ხოროში.

გლეხური ოპოზიცია თავის ხმას უფარდებს გლეხურ ხოროს და ცდილობს ჩაახშოს ჩვენი პარტიის პროლეტარული სოლო.

ორივე შეცდომა, თუ ისინი დაუშვით, მიგვიყვანს ერთ ბოლომდი.

— პროლეტარული რევოლიუციის გედის სიმღერამდი.

ბოლშევიზმის გამარჯვებულ მუსიკას წარმოადგენს— პროლეტარული სოლოს ჰეგემონია რევოლიუციის გლეხურ ხოროში. კომუნისტური პარტია—რევოლიუციის მუშურ-გლეხური ორკესტრის დირიჟორი.

ორკესტრში შემოიპარა ძლიერ ყალბი საკრავი—„მაკრატელი“. თუ ჩვენ ამ „საკრავს“ არ ჩავაჩუმებთ, თუ „მაკრატელის“—პირები ერთმანეთს კიდევ დაშორდება, ის უფრო აგვარევს ორკესტრს.

აი სად არის მთავარი ამოცანა. ცხოვრებაში უნდა გავატაროთ ახალი კურსი მთელი მისი ძლიერებით, უნდა მივმართოთ შინაპარტიულ და საბჭოთა დემოკრატიის და დიქტატურის ელასტიურ შეფარდებას იმისათვის, რომ სწორად დავაყენოთ და გადავჭრათ საკითხი „მაკრატლის“ შესახებ და ამავე დროს ერთი წუთითაც არ გაუშვათ მხედველობიდან ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეა. მთავარია კავშირი და „მაკრატელი“, დანარჩენი თავისთავად გაკეთდება.

ს. ნოვიკოვი.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩეულნი არიან:

ოკრატიულ ორგანიზაციე- ...კომის, ცეკავშირის და ...ის მუშა-მოსამსახუ-...ის: ამხ.ამხ. ერისთავი(კომ.), ...(კომ.), გოგიბერიძე (უპარ-...კომ.), ...ამიშვილი (უპარტიო), გიგინეიშვილი (კომ.), მალაქია ტოროშელიძე (კომ.), ...გრიდი (უპარტიო). ...ტრანსპორტზე ...: ამხ. ამხ. გვიდენი (კომ.), ხეროპიანი და არუსტამოვი (კომუნისტი).

3) ყელი-კვების მუშაკთა კავშირისაგან. ამხ. ამხ. რაზმაძე (კომ.), არჩვაძე (კომ.) და უიმაძე (კომ.) და ვალენტინა ჯიქია (უპარტიო).

4) მიწა-ტყის კავშირის მუშებისაგან: ფანცხავა, ცინცაძე პარმენ, ჯაფარიძე აპოლონ (კომუნისტები) და პაპიმილინის ქალი (უპარტიო).

...ყურადღებას არ იპყრობ- ...შემდეგ ინტერესი გაც-...

...პერიოდში (8 თვის გან-...) აკრეფილია სახელმწი-...შემოსავალი:

...ლიკვ- . . 999,205,074,618 მან.
...ურ- . . 1,921,195,375,889 „
...ფონ- . . 4,928,753,087,000 „

...ადგილობრივი ბიუჯეტი და გადასახადები.

...ბრივი ბიუჯეტის ქვე-განყოფილება ენერგიულად მუშაობდა ... დარგის მოსაწესრიგებ-...ბით გადასაჭრელი იყო ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც ... თვითმმართველობათა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება (ეს დეფიციტი ... საემისიო წყაროებიდან იფარებოდა), შემოსავლის ახალი წყაროების აღმოჩენა და ბრძოლა მეტად გავრცელებულ თვითნებური გადასახადების პრაქტიკის მოსასპობ-...

...მმართველოს მეცადინეობით ზო-... თვითნებური გადასახადები დეკრეტების გარეშე გამოცხადებული, მოსპობილია, მაგალითად ტფილისში არსებული გადასახადი ...ნოხებზე, დუშეთის მაზრაში— ...ზე, გადასახადი ვაჭრობაზე ...მში და სხვ. გარდა ამისა საბიუჯეტო დარგში სა-...თველო აძლევდა თვითმმართველ-... ინსტრუქციებს — ხარჯთ-...ბების განხილვის და წარდგე-... კანონიერ ვადების დაცვის შე-... კრედიტების განაწილების, ...ტების დახარჯვის წესის შესა-... და სხვ.

...არილს გამოვიდა ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს დეკ-..., სადაც ნაჩვენები იყო ხარ-...ბი, რომელიც გადატანილ უნ-... ქნეს ადგილობრივ შეძლებაზე ...ის შემოსავალი, რომელიც გადა-... ადგილობრივ ორგანოების ხელ-... ეს რთული საქმე სამმართველომ ...რო და სწრაფად შეადგინა ინსტ-...ქციები და დარიგებანი ამ დეკრეტის გასატარებლად.

...ფინანსთა კომისარიატის წინადადებით სამმართველომ შეასრუ-... ადგილობრივ გადასახადის და ...შემოსავლის აკრეფის საკითხი. ამ ...ადებით საქართველოში უნდა ...ყო 125 მილიარდი, მაგ-... ნამდვილად კი შეიკრიბა ორჯერ ... საანგარიშო პერიოდში გან-...ულ იქნა ყველა სამაზრო და ქალაქების აღმასკომების ხარჯთ აღრიცხვები, შემუშავებულია კანონპროექტი სამეურნეო ბიუჯეტების ... მათი განხილვის წესი.

8 თვის განმავლობაში შემოვიდა ადგილობრივი გადასახადები და ხარჯები—სულ 7.032.744.969.000 მანეთი.

პირდაპირი გადასახადები.

პირდაპირ გადასახადების დარგში სამმართველო აწარმოებდა ძველი გადასახადების გაწერას, ამზადებდა ახალ გადასახადების გატარებას და კრეფდა გადაუხდელ გადასახადს. პირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილების—მიერ შედგენილია ახალი კლასიფიკაცია სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მომგებიანია მათი წარმოება.

პირველ ოქტომბრამდე შემოსულია პირდაპირი გადასახადი—სულ 1.668 145.000.000 მანეთი.

კერძოთ სადერბო გადასახადის დარგში სამმართველო სასამართლომ მოახდინა რევიზია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა (20), კერძო დაწესებულებათა და კანტორათა (15). რევიზიამ შეადგინა 78 ოქმი, საიდანაც სჩანს, რომ ხაზინამ, სადერბო წესების დარღვევით, იზარალა მნიშვნელოვან ჯამით—ასეული მილიარდობით. ეს ზარალი გამოწვეულია არა მარტო ბოროტმოქმედებით: ხშირათ ზარალი გამოწვეულია სადერბო ნიშნების უქონლობით; მაშინაც, როდესაც ნიშნები საკმაო იყო, სახაზინო კასა ვერ აწარმოებდა ნიშნების გაყიდვას; ხაზინის გარეშე-კი არსად არ იყიდება. ამ ვაჭრობის ასაცილებლად სახელმწიფო დაწესებულებას: და კერძო სავაჭრო სამრეწველო ფირმებს მიეცათ ნება მიიღოთ სადერბო გადასახადი ნაღდი ფულით და გადასცენ ის ხაზინას დანიშნულ ვადებში. აგრეთვე აღძრულია შუამდგომლობა, რათა სადერბო ნიშნები გაიყიდოს ფოსტა ტელეგრაფის უწყების დაწესებულებებში.

არაპირდაპირი გადასახადი.

აღნიშნულ თვეების განმავლობაში ბევრათ იყო გადიდებული არსებული გადასახადების ნაკვეთი. გარდა ამისა შემოღებული იყო ახალი აქციზები ხილეულ და ხელოვნურ მინერალურ წყლებზე, ყავზე, ჩაისა და ყავის სუროგატებზე, ციკორიზე, ნავთზე, ბენზინზე, სანთელზე, ძმარზე, ფოთოლ თამბაქოზე, მარილზე. შემდეგ შემოღებული იქნა აქციზი კალოშებზე და გადიდებული იქნა აქციზი შაქარზე.

18 მაისიდან დაკანონდა მტკიცე საექციზო ნაკვეთები, 20-დან კი შემოღებულია ახალი საპატენტო ხარკი. საექციზო ნაკვეთების გადიდებას და ახალი აქციზების შემოღებას მოჰყვა სახელმწიფო შემოსავლის გადიდება: იანვარში შემოვიდა 4 მილიარდი, თებერვალში 44 მილიარდი., მარტში—91, აპრილში 79, მაისში—190, ივნისში—205, ივლისში—310, აგვისტოში — 289, ენკენისთვეში—561.960.000 მან.

ამრიგად საექციზო შემოსავალი იზრდება და წარმოადგენს თვალსაჩინო წყაროს ჩვენი ბიუჯეტის. 1 იანვრიდან, 8 თვის განმავლობაში შემოსულია სულ 1.238.692.803.296 მანეთი.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 15 დეკემბრისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 33-ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 15 დეკემბრისათვის განისაზღვრება—504 061.000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება—50.400.000 მან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი—ლ. დუმბაძე.
საერთო-საორგან. გან. გამგე—ლ. ქურდოვანიძე.

სასოფლო მეურნეობა

აგრონომიული დახმარება სოფელს

(აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილების ცნობებით)

სათესლე მასალის გაუმჯობესება.

სოფლის მცხოვრებთათვის სათესლე მასალის დიდი საჭიროების დასაკმაყოფილებლად და სათესლე მასალის მწვავე კრიზისის შესანელებლად შარშან მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან დაარსებული იქნა „ცენტრომთესი“.

ამჟამად საქართველოს გლეხობა აჭარბებს სეხად სათესლე მასალას, რაც შეიძლება კარგი ღირსებისას.

ამ მიზნით „ცენტრომთესი“, როგორც დამოუკიდებელი ორგანო გაუქმებულია. იგი შეუერთდა აგრონომიულ დახმარების ქვეგანყოფილებას, რომლის დანიშნულებას სათესლე მასალის ღირსების გაუმჯობესება. ამ მიმართულებით დიდი ენერგიული მუშაობა სწარმოებს სოფლად.

უკვე დაარსდა მაზრებში მარცვლეულობის გადასარჩევი პუნქტები, რომელთაც აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილება აწვდის ტრაქტორებს და მარცვლეულობის გადასარჩევ მანქანებს.

ამ საშუალებით მომავალი წლისათვის შესაძლებელი გახდება თავთავიანი პურეულის დასათესად წმინდა გადარჩეული თესლის მომარაგება, რაც აუცილებლად გააუმჯობესებს მარცვლეულის ღირსებას და გაადიდებს მოსავალს.

ჯერჯერობით აღმოსავლეთ საქართველოში მოსპობილია სათესლე მარცვლეულის 30 გადასარჩევი პუნქტი, ხოლო გაზაფხულისათვის ეს რაოდენობა 55 მდე იქნება აყვანილი.

დასავლეთ-საქართველოში სწარმოებს მუშაობა სიმინდის თესლის გასაუმჯობესებლად სელექციური მეთოდით.

მავნებლებთან ბრძოლა.

ამას გარდა, პარალელურად სწარმოებს ბრძოლა პურეულის მავნებლებთან. ბრძოლა სწარმოებს ძლიერი დეზინფექციურ საშუალებათა გამოყენებით.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის განახლება.

სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ფასების ძლიერი დაცემის გამო, სოფლელი მეურნე თითქმის ყოველგვარ სალსარს მოკლებულია განაახლოს თავისი სამუშაო იარაღი; ახალი ინვენტარის შეძენის საშუალება ხომ სრულიად არა აქვს.

ამიტომ მორიგ საკითხად არის წამოყენებული სოფლის მეურნისათვის სესხის მიცემა, რათა მას საშუალება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად. ამჟამად ეს სესხი ეძლევა მარცვლეულის სახით, მომავალში, შეძლების დაგვარად სესხი მიეცემა ინვენტარით.

ტფილისის აღმასკომის მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა

ტფილისის ქალაქის აღმასკომის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი წლისათვის სდგება ჩერვონეცის ანგარიშით და უდრის დაახლოვებით 6 მილიონ ჩერვონეცის მანეთს.

ხარჯთ აღრიცხვის შედგენა ამ დღეებში დამთავრდება, იგი იქნება ტფილისის აღმასკომის პირველი მტკიცე და უდეფიციტო ხარჯთ-აღრიცხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქის კეთილ მოწყობას. ამ დარგში განზრახულია კაპიტალურ მუშაობის დაწყება. ასე, მაგალითად ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია ხარჯები მდინარე მტკვარის ნაპირის გასამაგრებლად, ვერის ხიდსა და პატარა მდინარე ვერას შუა მდებარე მანძილზე. პროექტის თანახმად, წყლის მდინარება გადაყვანილ იქნება კლდოვანი ნაპირისაკენ, რის შემდეგაც საკანალიზაციო არხი „ახალი წრის“ საზაფხულო შენობასთან ყოველთვის წყლით იქნება დაფარული. ამავე დროს მთავარი მდინარება შეეხება ხოპირდაპირე ფხვიერ ნაპირს, რომელიც გამაგრებული იქნება კაპიტალური ქვის კედლით და წყლის მიმართულების მიმცემი დამბებით.

ვერის ხიდიდან მდ. მტკვრის ნაპირის გასწვრივ პროექტიანათ გაკეთდება ახალი ფართე ქუჩა, რომელიც შეუერთდება ამხ. ლენინის (ყოფილ ოლღას ქუჩას). ამ ქუჩის მოწყობით შესაძლებელი გახდება ლენინის ქუჩაზე და ვერის დაღმართზე დიდი მოძრაობის განტვირთვა.

ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია აგრეთვე მუხრანსკის ყოფილი დამწვარი სახლის (რუსთაველის პრ. და გიმნაზიის ქ. კუთხეში) აღდგენა, რისთვისაც ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 300 ათასი მანეთი.

ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია აგრეთვე მნიშვნელოვანი თანხა ქუჩების, განსაკუთრებით განაპირა ქუჩების კაპიტალურ შეკეთებისათვის და აგრეთვე ქალაქის ხიდების აღსადგენად.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის და განაპირა უბნების განათების საქმეს.

ქალაქის კეთილმოსაწყობად ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 1.300.000 მან. თანხა მაშინ, როცა გასულ წელს ამ საქმისათვის გადადებული იყო მხოლოდ 360.000 მანეთი.

გადასახადების დაწესების დარგში ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია გეგმაშეწონილად, რაც წრეულს ობიექტიურ პირობების გამო ვერ მოხერხდა.

განზრახულია აგრეთვე დარაბების მასიური ხელახალი უფრო სწორი შეფასება.

ზემო-ავჭალის ჰიდრო სადგურის ასაგებად ხარჯთ-აღრიცხვით განზრახულია ყოველთვიურად 40 ათასი მანეთის გაღება ნაცვლად წრევანდელი 18 ათასი მანეთისა.

პროფკავშირებში

მეღვინეების კლუბი.

კავშირის ახლად შეკეთებულ კლუბში სისტემატიურად აჩვენებდენ კინო-სურათებს, რამაც შესაჩნევი მოგება დასტოვა.

შემოსული თანხით კლუბი წრეებში მუშაობას აწარმოებს. კავშირის სამდივნომ დადგენილება გამოიტანა გადასდოს თანხა კლუბის დასახმარებლად. დადგენილია აგრეთვე უდიდესი ყურადღება მიექცეს კლუბის წევრთა შორის პროფ-პროპაგანდას.

კომ. მეურნ. მუშ. კავშირის ინჟინერთა სექცია.

კომ. მეურნ. მუშ. კავშირის სამდივნომ დაადგინა, გამოჰყოს ინჟინერთა სექცია, რომელიც გაგზავნის თავის წარმომადგენელს ცენტ. გამგეობის სამდივნოში და მჭიდრო კავშირს დაიკავებს კავშირის ცენტ. გამგეობასთან არსებულ საინჟინერო ტეხნიკ. ძალთა ჩაყრასთან.

განათლების მუშაკთა მდგომარეობა რაჭაში.

გან. მუშ. პროფ. ცენტ. გამგეობამ რაჭის განყოფილებიდან მიიღო წერილობითი მოხსენება მაზრის განათლების მუშაკთა მძიმე ნივთიერი მდგომარეობის შესახებ, რაც ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობის შედეგია. ცენტ. გამგეობამ სთხოვა გან. კომისარიატს, რომ რაჭის განათლების მუშაკთ თავის დროზე გაუგზავნოს ჯამაგირები.

წყალზე მომუშავეთა კავშირში

(პლენუმის სხდომის ანგარიში).

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა წყალზე მომუშავეთა კავშირის პლენუმის სხდომა. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) ურთიერთ დახმარების კასის ბიუროს მოხსენება და 2) მოხსენება სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მოქმედების შესახებ.

პლენუმმა ურთიერთ დამხმარე კასის ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაავალა ბიუროს შემდეგში მიიღოს ზომები წევრთა მიერ ფულის თავის დროზე შესატანად, რათა ფულს ფასი არ დაეკარგოს.

სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მოქმედების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი საზოგადოების მუშაობას დამაკმაყოფილებლად აღიარებს და ამავე დროს წინადადებას აძლევს საზოგადოებას, მიიღოს ზომები მოამარაგოს კოოპერატივებში ფართო მოხმარების საგნები.

რეზოლიუცია აგრეთვე აღნიშნავს რომ აუცილებელია კოოპერატივის ყოველთვიური ავანსების გაზეთებში გამოქვეყნება.

წინადადება ეძლევა აგრეთვე წყალზე მომუშავეთა კავშირის სარაქვეკომიტეტს სამეურნეო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა აღძრას მუშებისათვის კრედიტის მიცემის შესახებ.

საბჭოთა სასამართლოში

მუსა იბრაგიმ-ოღლის საქმე.

1917 წელს ორ თათრის სოფელს შორის ბორჩალოს მაზრაში ჩამოვარდა განხეთქილება საქონლის გარეკის გამო. ამ განხეთქილებამ მიიღო სასტიკი სისხლისმღვრელი ხასიათი. ყველაზე გამწვავებული მდგომარეობა შეიქმნა მუსა იბრაგიმ-ოღლის და მუსტაფას ოჯახებს შორის. მტრები ხოცავდენ მოწინააღმდეგის ოჯახის წევრებს. ამ ხოცვა-ჟლეტის დროს განსაკუთრებული ბედი ეწია მუსა იბრაგიმ-ოღლის. მან მოახერხა მუსტაფას ოჯახის ყველა წევრების ამოჟლეტა გარდა პატარა ვაჟის ალმახისა.

მუსაფა გაიქცა ბორჩალოს მაზრის საზღვრებიდან აზერბეიჯანში და შეუერთდა იქ ცნობილ ყაჩაღის უმუდ ალი-ოღლის შაიკას. მუსა თავს ესხმოდა თავის სამშობლო მაზრას და სხვათა შორის არ ივიწყებდა მუსტაფას ოჯახისათვის სამაგიეროს გადახდას.

ერთხელ მან მოახერხა ჩასაფრებოდა მუსტაფას ოჯახს, როცა უკანასკნელი ურმით სადღაც მიემგზავრებოდა. მუსამ ამოხოცა ყველანი, ვისიც დანახვა მოასწრო. მხოლოდ პატარა ბიჭი ალმახი დაიმალა ურმის ქვეშ და გადარჩა.

ა. წ. ოქტომბერში საოლქო სასამართლომ მიუსაჯა მუსა-იბრაგიმ-ოღლის დახვრეტა. ამნისტიის ძალით დახვრეტა შეცვლილ იქნა 10 წლის დაპატიმრებით. მაგრამ პროკურორმა გაასაჩივრა სასამართლოს დადგენილება ამნისტიის გავრცელების შესახებ და უზენაესმა სასამართლომ 26 ოქტომბერს გააუქმა სასამართლოს დადგენილება და ძალაში დასტოვა სასჯელის უმაღლესი ზომა. 11 დეკემბერს საქართველოს ცაკმა დაადასტურა უზენაეს სასამართლოს დადგენილება და განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ გაცემულია სასწრაფო განკარგულება.

განაჩენი გრინევას საქმის შესახებ.

14 დეკემბერს დღის 2 საათზე დასრულდა მხარეების კამათი და სასამართლო გავიდა სათათბიროდ. დღის 4 საათზე სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. გალუსტიანმა გამოაცხადა განაჩენი, რომლის თანახმად გრინევი ცნობილია დამნაშავედ მთელ რიგ სიყალბეთა ჩადენაში და მას მიესაჯა 1 წლის თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის შემდეგ გრინევს უფლება ესპობა დარჩეს საქართველოს რესპუბლიკის 3 წლის განმავლობაში.

ბრალდება ჯიბგირობაში არ არის დამტკიცებული.

ორი მუსლიმანი ქალის სამოქალაქო საჩივარი დაკმაყოფილებულია.

მეცნიერება და ტექნიკა

შხამიანი გაზები ავადმყოფობათა წინააღმდეგ.

ეჯვუდის (ამერიკა) არსენალის ქიმიურ ლაბორატორიებში მოახდინეს ცდების მთელი რიგი, რომელთა დროს გამოირკვა, რომ შესაძლებელია შხამიანი გაზების გამოყენება სხვადასხვა ავადმყოფობათა განსაკურნავად. ამრიგად შხამიანი გაზები, რომლებსაც ომის დროს მოწინააღმდეგეები ერთი-მეორის გასანადგურებლად ხმარობდენ, ამიერიდან მედიცინის მიზნებს ემსახურება. ზოგიერთი გაზები საუცხოვო საშუალებას წარმოადგენენ ინფლუენციის, ჭლექის და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ცდების დროს გამოირკვა, რომ ქლორის მცირე რაოდენობის შეყვანა ატმოსფერაში, ხელს უშლის ინფლუენციის ეპიდემიის გავრცელებას. გარშიცის გაზი წარმოადგენს საშუალებას ჭლექის წინააღმდეგ. მოახდინეს ცდები სხვადასხვა ცხოველებზე, რომელთაც შეუშხაპუნეს ჭლექის შხამი და გარშიცის გაზი, გამოირკვა, რომ ცხოველები არ დაავადმყოფდენ ჭლექით. ჯერ კიდევ ომამდი ეჯვუდის არსენალში შემთხვევით შეამჩნიეს, რომ ქლორი უებარ საშუალებას წარმოადგენს გაციებისა და ინფლუენციის წინააღმდეგ. ლაბორატორიებში, სადაც ამზადებენ ქლორს არ ყოფილა ინფლუენციით ავადმყოფობის არც ერთი შემთხვევა იმ დროს, როცა არსენალის სხვა ნაწილებში 10—20 პროცენტი ავად გახდა ამ ავადმყოფობით.

დეკორაციები ალუმინისაგან.

ვინაიდან ხის მასალა გერმანიაში ძლიერ ძვირი ფასობს, ხემნიცის საოპერო თეატრში ხის ჩარჩოები დეკორაციებისათვის ალუმინით შესცვალეს. ამის გამო საგრძნობად შემცირდა ცეცხლის გაჩენის საფრთხე. დეკორაციების მიმაგრება შეიძლება ჩარჩოების ორივე მხრიდან. არავითარ სირთულეს ეს შეცვლა არ იწვევს.

რადიო-აპარატი „ლევიათანზე“.

ამჟამად ყველა დიდ გემებს აქვთ რადიო-აპარატები, მაგრამ რადიო-სადგურის სიძლიერით ყველა გემებს სჯარბობს მსოფლიოში უდიდესი გემი „ლევიათანი“ რომელმაც განაახლა თავისი რეისები. ამ უზარმაზარი გემის რადიო საშუალებას აძლევს მგზავრებს კავშირი დაიჭირონ მსოფლიოს ყველა პუნქტებთან, მიუხედავად იმისა თუ, სად ან როგორ მდგომარეობაში იმყოფება გემი ოკეანეში. უზრუნველყოფილია კავშირი პუნქტებთან, რომლებიც სამიათასი მილის მანძილზე იმყოფებიან. რადიო-ტელეგრაფს გარდა „ლევიათანზე“ არის აგრეთვე რადიო-ტელეფონი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ლაპარაკი სხვა გემებთან და აგრეთვე სანაპიროების რადიო-სადგურებთან.

მუშათა ხმები

საბჭოს არჩევნებში უკლებლად უნდა გამოვცხადდეთ.

(თვითმშრომელთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ)

ტფილისის მშრომელი მასსა ეს მესამე ჯერ ირჩევს თავის რიგებიდან დეპუტატებს და აბარებს ქალაქის ბედ-იღბალს მათ,—დღეს ყველანი ფაცი ფუცშია.

მთელი დაწესებულებები მორიგეობით მართავენ კრებებს და ირჩევენ თავიანთ დეპუტატებს. ყველანი სიფრთხილით იქცევიან, რათა არაფერი დაავიწყდეთ დასაბარებელი დეპუტატებს ქალაქის საბჭოში, სადაც ისინი წარსდგებიან მრავალ ათასი მუშის სახელით. სხვა დაწესებულებებს, არ რჩება არც ტფილისის მუშა ხელოსანთა თვითმშრომელი კავშირი.

მათი მორიგე დღე ორშაბათია, 17 დეკემბერი.

კრება ტფილისის საბჭოში დეპუტატების ასარჩევად შესდგება რუსთაველის თეატრში. ამ კრებას ყველა უნდა დაესწროს. არც ერთი თქვენთაგანი არ უნდა დააკლდეს ამხ. ხელოსნებო, რაც ნაკლები გამოცხადდებით მით უარესია ჩვენთვის, რადგანაც მით ცოტა დეპუტატებს გავიყვანთ საბჭოში. და მეტ დეპუტატების გაყვანა კი დამოკიდებულია თქვენს სიმრავლეზე, ვინაიდან დეპუტატების არჩევნები ხდება რიცხვით: მაგალითად 150 კაცი ირჩევს ერთ დეპუტატს და სხვა.

ამიტომ არც ერთი ხელოსანი არ უნდა დააკლდეს. ამ დღეს ყველამ უნდა მივატოვოთ სალამოთი ადრე თავიანთი სამკერვალო დაზგები, მივაყუდოთ ჩაქუჩები, ჩავაქროთ გავლვივებული ქურა და ყველამ გავეშუროთ არჩევნებისაკენ.

იქ ჩვენ დეპუტატებს რომლებსაც ავირჩევთ, ბევრი რამ შეგვიძლიან დავაბაროთ ქალაქის საბჭოში გადასაცემად. ჩვენ შეგვიძლია დავაბაროთ ამხ. მუშებს ის, რაზედაც ხშირად ერთმანეთს შევჩივლებთ, შევსჩივით და უკმაყოფილონი ვართ ამა თუ იმ მიზეზების მიერ გამოწვეული მდგომარეობით.

მაშ, ყველანი არჩევნებისაკენ. არც ერთი ხელოსანი არ უნდა დარჩეს ამის გარეშე.

მუშკორი გარო.

ჩვენი საბჭოს მომავალი ამოცანები

(საუბარი საბჭოს დელეგატებთან.)

პირველ საბჭოთა სტამბის მბეჭდავი ამხ. არეშიძე, კითხვაზე თუ როგორი ამოცანა აქვს მას მხედველობაში საბჭოს მიერ განსახორციელებლად, შემდეგ პასუხს იძლევა:

„ჩვენთვის აუცილებელია გავაძლიეროთ მუშათა შორის პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა მენშევიზმის წარმომადგენლობითი როლის გამოსარკვევად, გავამაგროთ საბჭოთა აპარატი და ავსწმინდოთ წარმოება“-ო.

ამ სიტყვებს ჩვენ გვეუბნება პროლეტარი, ყოფილი მენშევიკი, რომელსაც ჯერ კიდევ მეფის დროს სდევნიდენ და აწვალებდენ და რომელმაც მხოლოდ 1922 წელში გასწყვიტა ყოველივე კავშირი მენშევიკებთან.

„უყოველი ღონე და ბრძოლა კომპარტიის გასაძლიერებლად“-ო, მტკიცედ იმეორებს საბჭოს დელეგატი ამხ. არეშიძე.

მუშკორი მახხი.

საბჭოს მუდმივი დელეგატი

პირველ სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკის წითელი დირექტორი და ტფილისის საბჭოში მე-4-ჯერ არჩეული დელეგატი ამხ. არხიმანდრიტოვი, საბჭოში თავისი მომავალი მუშაობის შესახებ აცხადებს: „აუცილებელია: 1) გავაუმჯობესოთ მუშათა მდგომარეობა საერთოდ და კერძოდ კი საბინაო საკითხში, 2) ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო ასაწევად, 3) დიდი ყურადღება მივაქციოთ გლეხებს და მათთან კავშირის განმტკიცებას; 4) გავხსნათ სოფლებში კოოპერატივები და 5) გავაძლიეროთ გლეხთა შორის კულტურ.-განმანათლებელი მუშაობა“-ო.

მუშკორი ხამუელი.

მუშკორობიდან მუშა-ჟურნალისტამდე

დეკემბრის 9-ს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა მუშკორთა და ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა საერთო კრება.

კლუბი „მუშის ბეჭდვითი სიტყვა“ ამ დღიდან გახსნილად ცხადდება და დაიწყებს თავის მოქმედებას გაფართოებით, როდესაც კი ის მოთავსებული იქნება საკუთარ ბინაზე.

სიხარულით ვეგებებით ამ ჩვენი დროის იშვიათ დაწესებულებას და ვესალმებით მას.

მუშების თანამშრომლობა ჟურნალგაზეთებში დღემდის უცნობი ხილი იყო მუშისათვის. ეს დარგი მხოლოდ კურს დამთავრებულ „დიპლომიანს“ ნასწავლთათვის არსებობდა და თუ მუშასაც შეეძლო ამა-თუ იმ საკითხზე თავის აზრის გამოთქმა, ამას ანგარიშს არავინ უწევდა. ხშირი მოვლენა ყოფილა წინედ, რომ მუშას წერილი მიუტანია რომელიმე რედაქციაში გაზეთში მოსათავსებლად, მაგრამ ის წაკითხვის ღირსიც არ გამხდარა, კალათაში ჩაუგდიათ იმისთვის, რომ არ მოსწონებიათ „მუშის“ ლურჯი ხალათი და მისი „დაკოჟრებული“ ხელებით „ნაჯღაბნი“.

ამისათვის მუშა ჩამორჩა მწერლობას პრაქტიკულად, ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი პროლეტარული მწერლობა, მუშათა გონების ასამაღლებლად.

მაგრამ რაც დღემდის იყო ის არ იქნება დღეს!

მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს ერთ უდიდეს და უძლიერეს იარაღს პრესა წარმოადგენს სახელმწიფოს განმტკიცებისათვის და დღეს ეს იარაღი თვით მშრომელთა ხელშია. მუშამ თავის ფიზიკურ შრომას, ქარხანას, მანქანების ტრიალს გონებრივი შრომაც უნდა შეუერთოს, შეუხმატკბილოს და მკვიდრი საძირკველი ჩაუყაროს შრომის სამუდამოდ განთავისუფლებას.

მუშის გაჭირვება-დალხინებას, მის ტკივილებს ვინ გამოსთქვამს ისე გულწრფელად, ზედმიწევნით, თუ არა თვით მუშათა რიგებიდან გამოსული მუშა-მწერლები.

ამისათვის ვიმედოვნებთ, რომ მუშკორთა კლუბი „მუშის ბეჭდვითი სიტყვა“ ენერგიულ ხელმძღვანელობას გაუწევს მუშა-მწერლებს და მოამზადებს მათ ისე, რომ არამც თუ უბრალო კორესპონდენციის წერა შეეძლოს მუშას, არამედ ის შეიქმნეს ნამდვილ ჟურნალისტ-ბელეტრისტ-პოეტი.

მუშკორი ვ. ახალკაცი.

წარმოდგენის დადგმა-არჩევაში გამოცდილებაა საჭირო

(პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების საყურადღებოდ).

სამშაბათს 11 დეკემბერს ცენტრ. მუშათა კლუბის თეატრში, საძ. კვების კავშირთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილ იქნა „პარიზის ღარიბ ღატაკნი“ პიესის დადგმას ხელმძღვანელობდა მუშა-მსახიობი ლევან ბალაშვილი. ასეთ რთულ პიესისთვის, როგორიცაა „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“ საჭირო არიან საკმაოდ მომზადებული „სცენის მოყვარენი“ სამწუხაროდ ამ დღეს ეს პიესა მიუხედავად ორი თვის მომზადებისა, ფრიად უფეროდ ჩატარდა; არც ერთი მოთამაშე თავის ალაგას არ იყო, რასაც უფრო ხელს უწყობდა გრიმები, მაგ. რენა ქ-ნ ბერნიეს მოსამსახურე (ამხ. პავლოვსკაია) უკანასკნელ მოქმედებაში მოწყობილი გამოვიდა სცენაზე მაშინ, როდესაც მის ქალბატონს (ამხ. ჩოდრიშვილისას) უფრო სადათ ეცვა, ბიგო მხატვარი უფრო ტფილისელ მეცხოვრებს გავდა, ვიდრე პარიზელ მუშას. ბიგო სცენაზე გამოვიდა 60 წლის კაცის სახით, ხოლო დედამისი რენა კი 18 წლის [illegible] ქალიშვილს მოგვაგონებდა, ჟუბერი—ქალაქის თავი (ამხ. კერესელიძე). უფრო ფუტურისტსა გავდა ვიდრე ფრანგს, საქმის კაცს. ჟოზეფი ბანკირ დიუპონის მოსამსახურე სცენაზე გამოდიოდა წაღებით და გალიფე-შარვლით, რაც ყოველ მის გამოსვლაზე თავშეუკავებელ სიცილს იწვევდა დარბაზში, საერთოდ პიესა ჩატარდა მეტად მკრთალად, როლები თითქმის არც ერთმა არ იცოდა, და არც ერთს არ ეტყობოდა ხელმძღვანელის ხელი, თითქმის არაფერში, ნეტავ რა საჭირო იყო ასეთ რთულ და დრო მოჭმულ პიესის აქ ჩაბღაუჭება?

სასურველია შემდეგისათვის ამხ. ბალაშვილმა ისეთ ტვირთს მოკიდოს ხელი, რომლის აწევა შეეძლება ჯერ მას როგორც წრის რეჟისორს და შემდეგ მის სცენის მოყვარეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი დადგმით გულ აცრუებული ხალხი, შეიძულებს მუშათა თეატრებს.

მუშკორი გაიოზი.

მუშათა ქრონიკა.

გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორების ექსკურსია.

დღეს სად. ნავთლუღში გაიმართება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების სამეცნიერო ექსკურსია ადგილობრივ რადიო სადგურის და ავიადრომის დასათვალიერებლად, სადაც ამხ. ამხ. მუშკორებს აუხსნიან რადიო სტანციის და ავიადრომის სტრუქტურას აღნიშნულ დაწესებულებათა ლექტორ-ინსტრუქტორები.

ამხ. ამხ. მუშკორებს ევალებათ გამოცხადდენ რედაქციაში დილის 9 საათზე დაუგვიანებლად.

მუშა მგოსან გიგო ხეჩუაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომა.

13 დეკემბერს „კომუნისტ ს“ რედაქციის ბინაზე შესდგა მუშა მგოსან გიგო ხეჩუაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე „კომუნისტის“ მუშკორებიც. კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ი. იმედაშვილი, რის შემდეგ გადაწყდა იუბილე გაიმართოს მიმდინარე თვის 30 რიცხვს სახაზინოს, ან და დრამის თეატრში შეძლების დაგვარად.

კომისიამ გამოიტანა აგრეთვე დადგენილება, რომ დაიბეჭდოს იუბილიარის რჩეული ლექსები 32 გვ. მცირე ფასდადებით ხალხში გასავრცელებლად. ტეხნიკურ კომისიაში დამატებით იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: პავ. ბალიაშვილი, ბაქაშვილი და შაქრო ნავთლუღელი. კომისიის მორიგი სხდომა დანიშნულია სამშაბათს 18 დეკემბერს.

პრეზიდიუმის მდივანი
ქ. ბულიაშვილი.

ქრონიკა

— **მილოცვა კომპარტიას.** ავჭალის მუშათა და გლეხთა მე-3 მოწვევის დეპუტატთა საბჭო, თავის საზეიმო სხდომაზე მხურვალე სალამს გიგზავნით თქვენ, მშრომელთა ინტერესების შეუდარებელ და თავდადებულ დამცველთ. გისურვებთ, რომ წითელი დროშა, რომელიც ამაყად აფრიალა კომპარტიამ ოქტომბრის წითელ დღეებში და რომელიც ლამპრად ანათებს მთელი ქვეყნის დაჩაგრულთათვის, ძირსდაუშვებლად მიგეტანოთ იქ, სადაც შეიკრიბება მთელი სამყაროს მუშები და გლეხები ერთ საერთაშორისო ფედერატიული საბჭოთა კავშირის შენობებში. გაუმარჯოს კომპარტიას და მის ბელადს ამხ. ლენინს. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას. გაუმარჯოს საერთაშორისო საბჭოთა კავშირს.

— **საბუღალტერო კურსებზე.** განათლების სახალხო კომისარიატის პროფ.-ტეხნიკური განათლების სექტორთან არსებულ საბუჰლალტერიო და საკომერციო მეცნიერების კურსებზე (ყოფ. ფალთიანისა) წელს იყო 268 მსმენელი. კურსდამთავრებულები განათლების ცენზის მიხედვით იმყოფებიან ამ რიგად: უმაღლესი განათლებით 5 პროცენტი, საშუალოთი 20 პრ. და მდაბალით 5 პრ.; აქედან ქალები შეადგენენ 40 პრ. და მამაკაცები 60 პროცენტს; პროფკავშირთა წევრები—80 პროც., სამსახურში მყოფნი 85 პრ., უმუშევრები 15 პრ. გაიხსნა დილის და საღამოს კურსები.

— **საქართველოს სახისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** ორშაბათს, დეკემბრის 17-ს, საღამოს 8 საათზე, ცენტრალური არქივის დარბაზში მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხავენ მოხსენებას: ა) ვარლამ თოფურია—„ქვა-ჯვარედები წალკისა და გომარეთის მიდამოებში“, და ბ) სერგო მაკალათია—„ქართველთა სარწმუნოებრივი განცდანი ახალ წლის ზნეჩვეულებებში“. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **ძირულის ხიდის შეკეთება.** გზათა მიმოსვლის მთავარ სამმართველომ ძირულის ხიდის შესაკეთებლად გადასდო 180 ათ. მან. ჩერვ. ხიდი შეკეთებული იქნება საფუძვლიანად.

— **სამგზავრო ვაგონების განათება.** გზათა მიმოსვლის სამმართველომ სამგზავრო ვაგონების ელექტრონით გასანათებლად გადასდო 5 ათასი მან. ჩერვ.

— **საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** დღეს, 16 დეკემბერს, ქალაქ დუშეთში გაიხსნება საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების სამაზრო ყრილობა. ყრილობა სხვათაშორის განიხილავს ტფილისში გლეხთა სასახლის დაარსების საკითხს.

— **შუამდგომლობა.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა—სასურსათო გადასახადიდან 10 პროცენტის გადარიცხვის სასოფლო და სათემო საგლეხო კომიტეტების ფონდის გასაძლიერებლად.

— **სამხედრო კოოპერატივების წარმომადგენელთა ყრილობა.** ახლო ხანში ტფილისში მოწვეული იქნება ქართული ჯარის სამხედრო კოოპერატივთა დელეგატების მეორე ყრილობა.

— **საგლეხო კომიტეტები რაჭის მაზრაში.** რაჭის მაზრის 72 სოფელში უკვე მოეწყო გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტები.

— **დამზღვევ კასის პენსიონერები არჩევნებში.** დამზღვევ კასის დადგენილებით ყველა პენსიონერებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ტფ. საბჭოს არჩევნებში. ამ მიზნით 20 დეკემბერს მოწვეული იქნება პენსიონერთა საერთო კრება.

— **საგლეხო კომიტეტების ფონდები.** სიღნაღის, ველისციხის, ათენის, გურჯაანის და ბაკურციხის საურთიერთო დახმარების გლეხების კომიტეტებმა ნოემბერში შეაგროვეს და აღნიშნულ კომიტეტების ფონდში შეიტანეს 2603 ვედრო ღვინო.

— **შტატის გადიდება საავადმყოფოებში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა: გაადიდოს რესპუბლიკის საავადმყოფოების მოსამსახურეთა შტატები.

— **ტანისამოსი რკინისგზელთათვის.** ტანისამოსის მკერავთა არტელმა მიიღო შეკვეთა რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთათვის 715 თბილი ტანისამოსის დასამზადებლად.

— **მკურნალთა შემადგენლობის გადასინჯვა.** დამზღვევ კასამ დაარსა სპეციალური კომისია მკურნალთა შემადგენლობის შტატის გადასასინჯათ.

— **დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს.** 18 დეკემბერს შრომის ბირჟაში ყელი-კვების, კვების და ქიმიკოსთა სექციებში დაზღვეულ უმუშევრებს მიეცემათ დეკემბრის დახმარება.

— **რკინისგზელთა სექციის გადატანა.** შრომის ბირჟასთან არსებული რკინისგზელთა კავშირის სექცია 15 დეკემბრიდან გადატანილი იქნება ახალ ბინაზე მადათოვის ქუჩაზე.

— **ხელახალი აღრიცხვა.** 12 და 13 დეკემბერს ხელახალ აღრიცხვაზე გამოცხადდა—714 უმუშევარი, აღრიცხვაზე დატოვებული იქნა—682 კაცი, აღრიცხვიდან სრულებით მოიხსნა—32.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 14 დეკემბერს შრომის ბირჟაში ახლად ჩაეწერა 46 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა — 41, მოთხოვნილება იყო — 37.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ № 289-ში პარტიულ ცხოვრებაში გაპარულია შემდეგი შეცდომა; სწერია: დებულება ს. კ. პ. ცეკას პარტიის და სხვა..; უნდა იყოს—დებულება ს. კ. პ. ცეკას პარტიის და სხვა.

შემთხვევები.

— **აფერისტის დატუსაღება.** 30 ნოემბერს მე-9-რე სამილიციო რაიონში შეიპყრეს შორაპნის მაზრის მცხოვრები გედეონ რაფიელის-ძე გვილესიანი, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა დაწესებულებიდან ფულის დატყუება.

— **შეპყრობა.** 12 დეკემბერს შეიპყრეს მოქ. თედო ჩხიკვაძე, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. არმენაკ საამოვის დუქანის გაქურდვა.

— **ქურდობა.** 13 დეკემბერს, დილის 11 საათზე გაქურდეს მოქ. საშა დათუნაიშვილის ბინა (ნარიოს დაღმართი რკინის გზის გადაღმა). დაზარალებულ ეჭვი აქვს ვინმე „ლავრენტიზე“ რომლის გვარი არ იცის. მიღებულია ზომები მის აღმოსაჩენათ.

— **შეპყრობა.** 12 დეკემბერს შეიპყრეს ალექსანდრე რაბინოვი და სიდორ ფეინდიევი, რომელთაც ბრალდებათ მოქ. არტემ ვაშაკიძის ბინის გაქურდვა.

— **ქურდობა.** 13 დეკემბერს ღამის 11 საათზე გაქურდეს მოქ. ივანე სტეფანეს-ძე როსტომოვის ბინა (მცხ. ბელგის ქ. № 1) საიდანაც წაღებულია 10 ჩერ. ნივთები.

— **აფერისტი.** 12 დეკემბერს, მოქ. ტერ-ტეროვს (მცხოვრ. მელიქოვის ქ. № 18) გამოსტყუა ვინმე მოქ. მიხეილ რაპოპორტმა 312 დოლარი და მიიმალა. კვლევა-ძიება სწარმოებს.

„1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას“

გამოვიდა ალბომი „1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას“, საქართველოს კომპარტიის და რევოლიუციის ისტორიის კომისიის ჟურნალის „რევოლიუციის მატიანეს“ გამოცემა. ალბომი შეიცავს 1917 წლამდი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაღუპული ამხანაგების სურათებს, ბიოგრაფიებს და მოგონებებს მათ შესახებ. შინაარსი:

1. მკითხველებს—ს. კ. პ. და რევოლიუციის ისტორიის კომისიის მდივნის ს. თალაკვაძისა, 2. დაღუპულ რევოლიუციონერთა სურათი—ჯგუფი, 3) ე. ნინოშვილი, 4. ლ. კეცხოველი, 5. ს. წულიკიძე, 6. ზ. ჩოდრიშვილი, 7. მონტინი პეტრე, 8) სპანდარიანი სურენ, 9. ბოჭორიძე მიხო, 10 დავიდოვი მიშა, 11. თელია გიორგი, 12. გალდავას ასული ფაცი, 13. კალანდაძე ვანო, 14. ლომინაძე ელისე, 15. ცინცაძე იესე. 16. ჯუღელი გიგა, 17. კალანდაძე ბესარიონ, 18. კნუნიანი ბოგდან, 19, სტურუა ვასო, 20. ჯუღელი სევერიანე, 21. მგელიძე იასონ, 22. ჯაფარიძე არჩილ, 23. ლომთათიძე პოლა, 24. კალაძე მინა, 25. ჩაჩავა კოსტა, 26. ებრალიძე იოსებ, 27. ჭეჭენაძე გიგია, 28. კუჩუკვი მიშა, 29. სულხანიშვილი კოლა, 30. კიკნაძე მიხა, 31. შევარდაძე დათიკო, 32. იმნაიშვილი გერმანე, 33. გორდეზიანი აკაკი, 44. ინწკირველი ვანო (სტეპკო), 35. ჯორჯიაშვილი არსენ, 36. თალაკვაძე პანტელეიმონ, 37. პიშკინის ასული ალექსანდრა (შურა), 38. ქლივიძე ილიკო (ზაქრო), 39. ლორთქიფანიძე კოლია, 40. რედაქციისაგან, 41. ნინიძე იპოლიტე, 42. მინდიაშვილი ნიკა, 43. ელიავა გიორგი, 44. ს. ბურჭულაძე, 45. ვასირის და მარცვალოვის ხსოვნას, 46. პეპიაშვილი ილიკო, 47. კალანდაძე ჭიჭიკო, 48. მერკვილაძე აფრასიონ, 49. დუმბაძე ვასო, ბაქრაძე ვალიკო, 50. ივანიაძე სილოვან, 51. მიკატაძე ლუარსაბ, 52. ასალო ვადაჭკორია, 53. კალაძე გერონტი, 54. მამაცოვი გარსო, 55. ლეჟავა პროკოფი, 56. არაბიაშვილი იოსებ, 57. ელიავა ესტატე, 58. მაღრაძე თედო, 59. ხირსელი გიორგი, 60. გულდედავა დომენტი, 61. თვარაძე ვასო, 62. მეტრეველი გლახუა, 63—83. ვ. მაღრაძე, გ. ხომერიკი, ი. შავიძე, დ. რევაზიშვილი, ა. ბერიძე, თ. შველიძე, თ. კაკრიაშვილი, პ. მიქაბერიძე, ს. ჭუმბურიძე, ა. სვანიძე, დ. არჩვაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტაბატაძე, გ. გაჩეჩილაძე, კ. ფარჯანაძე, კ. ბოჭორიშვილი, კ. ოდიშვილი, მ. ზარიძე, ქ. ჯანაშვილი.

ალბომი გამოცემულია ფართე ფორმატის კარგ ქაღალდზე, სუფთად და ლამაზად და შეიცავს 92 გვერდს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა „ტოსკა“.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით და ანსამბლით ჩატარდა პუჩინის ოპერა „ფლორია ტოსკა“. ამას ხელი შეუწყო უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ ოპერას მთავარ პარტიებში გამოვიდენ პანკრატოვა (ფლორია ტოსკა) და სარაჯიშვილი (მარიო კავარადოსი). ორივე მსახიობი მღეროდენ ავადმყოფობით გამოწვეული დასვენების შემდეგ და ავადმყოფობის განმავლობაში დასვენებული ხმა ორივე მომღერალის სრულ-

ხოვო მოსამენი იყო. მომღერლები იძლეოდენ განცდას და მღეროდენ ჩინებულათ. ხარაჯიშვილი კავარადოსის პარტიაში (რომელიც საუკეთესოდ ითვლება მის ფართო რეპერტუარში) პირველად გამოვიდა ამ სეზონში. პარტია დამუშავებულია დეტალურათ როგორც ვოკალური, ისე სცენიური მხრით. ვოკალური შესრულების მთავარ ღირსებას შეადგენენ: მუსიკალობა, დამთავრებული ფრაზიროვკა, Mezzo-voce-ს და კანტილენის გამოყენების ცოდნა. ნიჭიერი მსახიობის თითეულ ფრაზა სავსებით შეთანხმებულია მომენტის შინაარსთან, თითოეული ფრაზა შეეფერება განსხვავებული პირის განწყობილებას. ფრაზიროვკის ასეთი სისრულე იძლევა მეტად რელიეფურ და რეალურ შთაბეჭდილებას. პირველ მოქმედებაში მსახიობმა მთელი დიალოგი ტოსკასთან ჩაატარა მოხდენილათ; არც ერთი ზედმეტი ადგილი, არც ერთი ზედმეტი ხმა, ყველაფერი თავისუფლად, რეალურად ინტუიტიურად იქნა ჩატარებული. მსახიობი კიდევ უფრო მეტი სიცხოველით და ტემპერამენტით ატარებს სცენას სკარპიასთან, ბევრი ლირიზმია უკანასკნელ სცენაში ფლორია ტოსკასთან მსახიობი კარგად მღერის არიას დახვრეტის წინ „ბრწყინავდენ ვარსკვლავები"; მოხდენილად იყენებს Mezzo voce-ს.

კარგია გრიმი, კოსტიუმი, მთელი გარეგნული მორთულობა.

პანკრატოვა მღერის თავის პარტიას ტემპერამენტით, მაგრამ უმჯობესია პირველი სცენა ეკლესიაში სკარპიასთან უფრო ზომიერ კოლორიტით იქნეს ჩატარებული, ხოლო სცენა სკარპიასთან იმის შემდეგ, როდესაც ტოსკა იძულებული ხდება დამორჩილდეს საზიზღარ სკარპიას—ჩატარებული იქნეს უფრო ლირიული ხმებით, თითქმის სასოწარკვეთილებით—ამაზე მიუთითებს თვით ორკესტრის აკომპანიმენტიც. სცენა სკარპიასთან სავსეა რეალიზმით, განსაკუთრებით მის მიერ მოკლულ სკარპიას ცხედართან. დიდი სიძლიერით ასრულებს მსახიობი აგრეთვე უკანასკნელ მომენტს.

ანსამბლს საუცხოოდ უწყობდა ხელს დეველტიც (გრაფი სკარპია), მაგრამ მას ჰმართებს მეტი თავდაჭერილობა. სკარპია ისედაც გრძნობს თავის დიდ ძლიერებას და გავლენას, მისთვის ზედმეტია წყრომა და გრძნობიდან გასვლა. მისი თვისებაა სიდინჯე და მეტისმეტი გულგრილობა.

ჰ. ზიზუთოვი.

თეატრი და ცხოვრება

გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს № 2. შინაარსი: მეთაური—ხელოვნება და სოფელი, რაჟდენ კალაძე—სახალხო თეატრი, ივ. გომართელი—მუშა-მგოსანი, ლევ. მეტრეველი—მერე მერე რა?, ია კარგარეთელი—სიმღერის წარმოშობა, ტრ. რამიშვილი—სიყვარულის საზღვართან, ტერენტი გრანელი—ჩემი რკალი, პარ-დონ—კ. მარჯანიშვილი, შ. სპანიოლი—თეატრი და ექსპრესიონიზმი, კაიუს-პილი—სურთქვა იმედებით, ზ. ფალიაშვილი—„დაისის" ლიბრეტო, ექიმი შტოკმანი—საზოგადოებრივი ცხოვრება.

— **გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების წიგნი.** იბეჭდება და დეკემბრის დამლევს გამოვა პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების წიგნი „პოეტის ყივა". წიგნს დართული ექნება ავტორის პორტრეტი და იბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე. წიგნი ეღირება 35 კაპ. ჩერ.

— **მუშა პოეტის იუბილე.** 30 დეკემბერს გაიმართება მუშა-პოეტის გ. ხიჩუაშვილის იუბილე მისი სამწერლო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

— **დახმარება სახალხო სახლს.** პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა სახალხო სახლის სასარგებლოთ, მისი 30 წლის იუბილეს გამო გადასდოს 500 მან. ჩერვონეცით.

დღეს თეატრებში:

— **სახელმწიფო ოპერა.** „თავადი იგორი".

— **რუსთველის თეატრი.** „ადამიანი მასსა".

— **სახალხო სახლი.** ქართული წარმოდგენა.

პროვინციაში

ხევი (დუშეთის მაზრა)

ყაზბეგის რაიონის ნაწილს, თერგის ვალას დარიალის კლდე-კარიდან კობამდე, მოკლედ ეძახიან ხევს, მცხოვრებლებს—მოხევეებს. ეს ხალხი ბუნებრივად ნიჭიერი, ფხიზელი, მოძრავი და შრომის მოყვარე, კულტურულად და ეკონომიურად განვითარებით მაღლა სდგას მაზრის სხვა კუთხეების მცხოვრებლებზედ. იგი ხარბად ეწაფება სწავლას რასაც მოწმობს მშვენივრად მოწყობილი ბავშვთათვის სოციალური სასკოლო შენობები, რიცხვით ექვსი, თერთმეტი მასწავლებლით და ექვსასამდე მოწაფით, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად არაჩვეულებრივად მატულობს და რომელთა სწავლა 15 ოქტომბრიდან მიმდინარეობს რეგულიარულად. მასწავლებლები არ ზოგავენ თავის ძალ ღონეს მომავალ თაობის აღსაზრდელად, მიუხედავად თავის ფრიად გაჭირვებულ ცხოვრების პირობებისა. მათვე, რაიკომის მდივნის ამხ. მამალაძის დახმარებით, მოკლე ხნის განმავლობაში დაარსეს დრამატიული წრე ყაზბეგში (ს. სტეფანწმინდაში), აწყობენ სამკითხველოებს, მომღერალთა გუნდს, დაარსეს ხევის მთლიან შრომის სკოლების მასწავლებლების საბჭო ამხ. ჩოხელის თავმჯდომარეობით. ეს საბჭო მიზნად ისახავს მასწავლებელთა გაერთიანებას და მათი გარკვევას თანამედროვე პედაგოგიურ საკითხებში.

სკოლების მოწყობაში ტექნიკურის მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხ. მამალაძეს, ადგილობრივ ხალხის მიერ დიდათ პატივცემულს.

27 ნოემბერს აქ, ყაზბეგში, ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა; ამ რიცხვში კავკავიდან მოსული, აქაურელების მიერ ცნობილი, ამ რაიონის გზატკეცილის ტექნიკი იური ხოდკევიჩი ქორწილიდან გამოსული ღამის ჟამს ქვის კიბიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა, ამ გარემოებამ დიდათ შეაწუხა ნაცნობნი მოხევენი.

30 ნოემბერს აქ მოვიდა პირველი თოვლი, მაგრამ ჯერ ჯერობით მაინც საერთოდ კარგი ამინდებია.

კვირას, 2 დეკემბერს, ყაზბეგის სკოლის სათეატრო დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დადგმულ იქნა პიესა „ბატონი და ყმა", სცენის სასარგებლოდ. დაესწრო საკმაო ხალხი. წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. დამსწრენი ნასიამოვნები დარჩენ.

ნაცნობი.

სოფელ კაპანის გლეხების თხოვნა

სოფელი კაპანა მდებარეობს სენაკის მაზრაში, ორი ვერსის მანძილზე დაბა აბაშიდან. ს. კაპანა მეტად მჭიდრო და დასახლებულია. დაახლოვებით არის 160 კომლი.

კაპანის გლეხობა დიდი ხანია ეტრფოდა რომ კლუბი და სასკოლო შენობა აეგო მის კარის წინ.

ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას კაპანის გლეხობა დღემდე ვერ ეღირსა. აქაური გლეხობა ღრმად დარწმუნებულია, რომ მეზობელი მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას მათ და დახმარება ამ საქმეში.

კაპანის გლეხობაში კარგა ხანია იჩინა თავი ანტი-რელიგიურმა მოძრაობამ. მათ თვალი აეხილათ სარწმუნოების სიყალბეზე.

გლეხებმა დაარღვიეს არაერთი საეკლესიო შენობა და შეუდგნენ მის გადაკეთებას სკოლად და კლუბად.

მაგრამ მათ წინ ელობება ერთი გარემოება.

დაბა აბაშაში აშენებენ ტექნიკუმის შენობას და კაპანის საყდრის კარგი ნაწილები და მისი სახურავი—ძვირფასი თუნუქი—მიაქვთ აბაშის ტექნიკუმის შენობის დასამატებლათ. სამაზრო აღმასკომის განკარგულებით, კაპანის გლეხობა ისევ რჩება იმედ გაცრუებული. თუ ეს წაერთვა კაპანას, შემდეგში ის ვერ შესძლებს კლუბის და სკოლის აშენებას.

სენაკის მაზრაში არის აყარებელი სახლები ნაციონალიზაციის სახით ჩამორთმეული, რომელნიც გამოდგებიან აბაშის ტექნიკუმის დასამატებლად. ვინც ადგილზე გაეცნობა ამ საქმეს, კაპანის გლეხობას არ წაართმევს ამ სასკოლო და საკლუბო შენობას. ასეთი მრავალ რიცხოვანი სოფელი, მეტად კულტურულათ განვითარებული, და ერთი სახლიც არ აქვს, სადაც შეიძლოთ მოგროვება და სჯა-ბაასი. ყოველმხრივ შექმნილი მდგომარეობა ამტკიცებს, რომ—კაპანისთვის ეს აუცილებელი საჭიროება.

კაპანის გლეხობა, მიუხედავად მისი სიღარიბისა და რთულ ეკონომიურ მდგომარეობისა, შესძლებს ყოფილი ეკლესიას გადაკეთებას კლუბათ და სასკოლო შენობად.

მშრომელი კაპანის გლეხობა თხოვს უმაღლეს ორგანოს, ეს შენობა მისი სახურავით იქნეს დატოვებული კაპანაში, მისი გამოსაყენებლად სკოლისა და კლუბისათვის.

ლევან ჭ.

ონტოფოს თემი (სენაკის მაზრა)

აქ არსებობს მთლიანი შრომის სკოლა (მშვენიერი ორ სართულიანი შენობით), საბჭოთა აფთიაქი, სახალხო კლუბი (ყოფ. ეკლესიის შენობა), ქოხ-სამკითხველო და აღმასკომ-პარტკომის შენობა.

ადგილობრივი დრამატიული წრის მიერ ხშირად იდგმება წარმოდგენები რევოლიუციონური შინაარსისა; ხდება ლიტერატურული გასამართლებები სხვადასხვა ნაწარმოებების გმირებისა, რომლებსაც ხალხი საკმაოდ ესწრება და ნასიამოვნები რჩება.

ამ უკანასკნელ ხანებში იქმნა ჩატარებული მაზრის მასშტაბით საბჭოთა არჩევნები. ონტოფოს თემმა ეს არჩევნები წარმატებით ჩაატარა. საბჭოში არჩეულ იქნენ მხოლოდ მშრომელები, რომელთა წარსული არ არის სამარცხვინო საქციელით შებღალული.

საზოგადო კრებამ, რომელიც მოწვეული იყო საბჭოთა არჩევნებისათვის, სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნო ონტ. თემის აღმასკომის მუშაობა რის გამო მადლობა მიუძღვნეს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. არ. ნადარეიშვილს, თავის ნაყოფიერ მუშაობისათვის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

მ. ხი. [illegible]

ნაგომარის რაიონი (გურია)

ამა წლის 8 ნოემბერს, ნაგომრის რაიკომის მიერ მოწვეული იქნა ამავე რაიონის თემების მშრომელი გლეხობის მასიური კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეული იყო ამხ. კირ. უჯმაჯურიძე, მდივნად—ამხ. მაკ. ქადიფთარი. კრების მოწვევის მიზანი იყო ყოფ. მენშევიკის ამხ. ფარნიევის მოხსენება. ამხ. ფარნიევს კრება ტაშით ეგებება. მოხსენებელი მდაბიური ენით ესაუბრება კრებას და ვრცლად აღნიშნავს მენშევიკების შემცდარ პოლიტიკას. ამხ. ფარნიევი შეეხო ყველა საბჭოთა ხელისუფლების იმ მიღწევებს, რომელიც ყველასათვის ცხადია. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე დღევანდელი მშრომელი გლეხობის უმწეო მდგომარეობას, ქალაქის ნაწარმოების გაძვირების გამო, და აღნიშნა ამის მიზეზი; მან იმედი გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში სოფლის ნაწარმოები გაუთანასწორდება ქალაქის ნაწარმოებს და ამითი შეღავათი მიეცემა მშრომელ გლეხობას. მან ილაპარაკა კოოპერატივზედაც და მის მნიშვნელობაზე და მოუწოდა კრებას, მეტი ენერგიით და ყურადღებით მოეკიდონ კოოპერატიულ მოძრაობას და სხვ. ამხ. ფარნიევის მოხსენების გამო კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

მ. ქადიფთაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის (2) საქმეთა სამმართველო იუწყება:

1. მორიგე ტელეფონი ნაშუადღევის 3 საათის შემდეგ არის 14—57.
2. ტელეფონოგრამების მიღება იქვე ყოველ დროს.
3. პაკეტების მიღება, ნაშუადღევის 3 საათის შემდეგ, იქვე (მე-3-ე სართული, გალერეაში).

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, **პროფკავშირთა სასახლის პატარა დარბაზში შესდგება მე-IV-ე რაიონის ქალთა დელეგატების კრება.**

დელეგატ-ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

— დღეს 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე დანიშნულია თათბირი საქართ. პროლეტმწერალთა საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დანიშნულ დროს.

1. ფილიპე მახარაძე, 2. მამია ორახელაშვილი, 3. სილვა თოდრია, 4. რაჟდენ კალაძე, 5. სევ. თალაკვაძე, 6 სანდრო ეული, 7. ნიკო კიკნაძე (რედაქტორი), 8. ისიდორე თალაკვაძე, 9. ნ. ზომლეთელი, 10. იონა ვაკელი, 11. გ. ყურულაშვილი, 12. კიტა მეგრელიძე, 13. სიმონ ჩიხლაძე, 14. შურა დუდუჩავა, 15. ბ. ლომინაძე, 16. არჩილ მიქაძე, 16. პ. საყვარელიძე (რედაქტორი), 18. პ. ბუაჩიძე, 19. ლ. ქართველიშვილი, 20. მიხა კახიანი, 21. პეტრე სამსონიძე, 22. პ. ქიქოძე, 23. კ. ორაგველიძე, 24. დ. კანდელაკი (განს. სახალხო კომისარი), 25. დ. ჩხიძე, 26. იაკინთე ლისაშვილი.

საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ართ. კვირიკაძე.

— დღეს, 16 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ს. კ. ც. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში

დანიშნულია სხდომა უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად.

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: მარიამ ორახელაშვილი, ს. ტაკოევი, ისიდორე თალაკვაძე, თათარეიშვილი, ბუაჩიძე, დუდუჩავა, სოლოვეანი, ა. ნოვიკოვი, მ. გუსეინი, დუბინსკი, ხაჭაპურიძე, იობიძე, შავერდოვა, მჟავანაძე, ნუცუბიძე, შენგელიძე და მიქელიანი. აგრეთვე ფაკულტეტების უჯრედთა მდივნები, სტუდენტების კომიტეტთა თავმჯდომარენი და სტუდენტთა ცენტრალური ბიურო.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგე კვირიკაძე.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა სტუდენტ-კომუნისტებს, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც იმყოფებიან იაჩეიკების პასუხისმგებელ მდივნებად და ხელმძღვანელებათ, გამოცხადდენ თავიანთ რაიკომებში ტფილისის კომიტეტში გასაგზავნად და უმაღლეს სასწავლებლების იაჩეიკებთან მისამაგრებლად.

ამ დადგენილების შესრულება სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის წესით.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს, 17 დეკემბერს სალ. 6 საათზე ქართული სექციაში: როგორ უნდა სწარმოებდეს წერითი ვარჯიშობა სკოლაში.

— სამშაბათს, 18 დეკემბერს სალ. 5 საათ. 45 წ. მათემატიკური წრის სხდომა სომხურ-ენაზე.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

ცენ. გამ. საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა ორი ობლები აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს 11 საათზე ვერის სასაფლაოს ეკლესიაში

მუხრან ხოჭოლავას

გარდაცვალების ერთი წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი.

მიხეილ მიხეილის ძე, ელენე იოსების ასული ბილანიშვილები დიდედა ნინა კენჭიაშვილისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ მახლობელ თავიანთ პატარა

ნათელას

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას 16 დეკემბერს დილის 11 საათზე. ანტონოვის ქ № 12. 285—1—1

ირაკლი მიხეილის ძე, ეკატერინე გედევანის ასული ბილანიშვილები და სოფიო ალექსანდრეს ასული ორჯონიკიძისა, აუწყებენ ნაცნობებს მწუხარებით პატარა

ნათელას

უდროოთ გარდაცვალებას 285—1—1

თამარი მიხეილის ასული, ინჟინერი ალექსანდრე ლევანის ძე პატარა ოდიკათი მაკრაპულოვები მწუხარებით აუწყებენ უდროოთ გარდაცვალებას

ნათელა ბილანიშვილის

285—1—1

ანნა ზაალის ასული ბილანიშვილი, ალექსანდრა სიმონის ასული, კატუშა და ვანიჩკა ლარიბაშვილები აუწყებენ მწუხარებით

ნათელა ბილანიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას ანტონოვის ქ № 12. 1—1

სტეფანე მანუკის ძე კარაპეტიანცი ოჯახით მწუხარებით აუწყებს, რომ უდროოთ გარდაიცვალა მისი ნათლული

ნათელა მიხეილის ასული

ბილანიშვილი

285—1—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საზოგადოებას იშვიათ ენერგიით და პატიოსნებით აღჭურვილი თანამშრომლის, მოლითის ხე-ტყის დასამზადებელ რაიონის გამგის

გიორგი პავლეს-ძე თოდრიას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ დაკარგვას, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 16 დეკემბერს, დილის 12 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

783 1—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო ტრესტი ამით აუწყებს საზოგადოებას იშვიათ ენერგიით და პატიოსნებით აღჭურვილი თანამშრომლის, მოლითის ხე-ტყის დასამზადებელ რაიონის გამგის

გიორგი პავლეს-ძე თოდრიას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ დაკარგვას, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 16 დეკემბერს დილის 12 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

782 1 1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 16 დეკემბერს

თავადი იგორი

ნის. 778—5—5

სრულიად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის რწმუნებულთა მორიგი

ყრილობა

დანიშნულია

ამა 1923 წლის 25 დეკემბრისათვის ქ. ტფილისში.

ყრილობა განიხილავს გამგეობის მოხსენებას, მის წარსული მუშაობის და მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ და მოახდენს მმართველი ორგანოების არჩევნებს დაწვრილებითი დღის წესრიგი გამოქვეყნებული იქნება ახლო მომავალში.

780—2—2 ცეკავშირის გამგეობა

ამინდი ამიერ-კავკასია

14 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): სოხუმში... 5 გრ., ფოთში... 2 გრ., ბათომში... 5 გ., სამტრედიაში... 2 გრ., აჯამეთში... 3 გრ., ჭიათურაში... 1 გრ., ბორჯომში... 5 გრ., სურამში... 2 გრ., ტფილისში... 3 გრ., მუკუზანიში... 3 გრ., ერევანში... 0 გრ., ბაქოში... 5 გრ., (ქუთაისიდან და წიფიდან ცნობები არ არის მიღებული).

ღრუბლიანობა: სურამში, ტფილისში, მუკუზანში, ერევანში და ბაქოში სრული, დანარჩენ ადგილებში მოწმენდილია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთ — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი. ბაქოში—ჩრდილოეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ სიწყნარეა.

ნალექი: ნელი წვიმა ტფილისში, ღამით.

ზღვის მდგომარეობა ნაპი

ფოთში და ბათუმში დაწყ ლია. [illegible]

ამინდი ხვალისათვის [illegible]

ცვალებადი-ღრუბლიანობა, [illegible] ლა, აღმოსავლეთ საქართვ ყინავს, ალაგ-ალაგ ნელი წვიმ

ჩრდილოეთ-კავკასია

კუბანი: ტემპერატურა... სრული ღრუბლიანობა, ქარის ლე—სამხრეთ-დასავლეთის, ნ

კიზლიარი: ტემპერატურა... სრული ღრუბლიანობა, ჩრდი აღმოსავლეთის ქარი, ნელი.

ტფილისი

15 დეკემბერი, დღის 1 სა

ტემპერატურა: 5 გრ.

ღრუბლიანობა: სრული.

ქარის ქროლა: არ ქრის.

საქ. სახალხო ბანკის ქუთაისის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 დეკემბერს, კვირას, დი 12 საათზე, ბანკის ბინაზე, ქ. ქუთაისში, საბჭოთა ქ

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

„უნიონის" სისტემის დინამო-მანქანისა, მუდმივი ნის, ბორბლით, ტოტადი აღძვრით 95 ძალ. დინამო, მელიც დაგირავებული იყო რაჭის სამაზრო აღმასკ მიერ, იყიდება ვალდებულების 6 და 8 ჰარ. ძალით, ზე გამოუყიდველობის გამო.

თავნი ვალი 233,49 ჩერვონეცი, რომელსაც დაერიც პროცენტები და სხვა ხარჯები.

გაცნობა ვაჭრობის პირობებისა და მანქანის შეიძლება ბანკის ბინაზე, ყოველ დღე, 10—3 საათ., და კვირა-უქმისა.

778—5 2 საქ. ბანკის ქუთაისის განყოფილება.

მიიღება 1924 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე,

— ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ —

„კომუნისტზე"

ხელისმომწერლებს, რომლებიც შემოიტანენ ხვედრ ფულს წინდაწინვე, დაურიგდებათ შემდეგი

პრემიები:

1) გაზ. „კომუნისტი"-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი";
2) ალ. წულუკიძე ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან;
3) ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
4) ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
5) დ. რიაზანოვი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
6) ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

პრემიები იქნებიან შემდეგნაირათ განაწილებული:

ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ „ჩირაღდანს"

გარდა ამისა

სამი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:

1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან.

ექვსი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:

1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
2. დ. რიაზანოვი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

გაზეთი ღირება:

1 თვით 1 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით
2 „ 3 მან. — —
3 „ 4 მან. და 50 კაპ. —
4 თვით 6 მან. ჩერვონეცით
5 „ 7 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით.
6 „ 8 მან. და 50 „ „

კოლექტიური ხელის მოწერა: მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის და წითელარმიელებისთვის ეღირება 20 პროცენტით ნაკლები.

ტფილისის გარეთ მცხოვრები ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი ათი კაპეიკის დამატებით თვიურად, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად. 20—3

გამოვიდა და იყიდება ყველა გაზეთის გამყიდველებთან ტფილისში და პროვინციაში

№ 15

ორკვირეული იუმორისტული ჟურნალი

„ნიანგი".

1—1

ცენტრპარტსკოლის შენობაში ადმინისტრატ. სამეურ. განყოფილებაში

(ჯუღაშვილის და ენგელსის ქუჩის კუთხე № 35)

ნიშნავს

27 ამა დეკემბერს 12 საათზე წერილობითი

საჯარო ვაჭრობას

სკოლის კურსანტებისთვის პურის გამოცხობის და ხორცის მოწოდების შესახებ.

პირობების გაგება შეიძლება სკოლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ცენტრპარტსკოლის ადმინ.-სამეურ. განყოფილება. 286 2—1

სახლი

თავისუფალი ბინებით საჩქაროთ და იაფად იყიდება, ვისაც სურს იყიდოს და გაიგოს უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2. დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. 284 1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]

[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ [illegible]** [illegible] ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 20. (126—25—4)

პროფესორი გ. მუხაძე

დაბრუნდა და **განაახლა** ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—2

დავკარგე პასპორტი და სარეგისტრაციო ფურცელი იოსებ მჭედლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 283—1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, სამ. წულუკიძის ქუჩა, № 4.